# საერთო გაზეთი

№36 (541) • 23 ოქტომბერი, 2019წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი

## როდის მოუხმობს „ქართული ოცნება“ მოუხმობლებს?





## ვის აძლევს გამარჯვების ყველაზე დიდ შანსს არჩევნები ნულოვანი ბარიერით?

## „ქართულ ოცნებაში“ არიან ადამიანები, რომლებიც იმაზე მუშაობენ, რომ „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები „ქართულ ოცნებას“ გადაამტერონ

## მამუკა ხაზარაძე – თავხედი, თაღლითი და პროვოკატორი, რომელიც საკუთარ ქვეყანას უბრძანებს უცხოელებს ჩამოუაროს და „მისი“ პორტის ასაშენებელი ფული ჩამოუტანოს!

მშენებლობაში შერცხვენილი ხაზარაძე პოლიტიკაში შემოძრომით ცდილობს განცდილი მარცხი გადაფაროს...



მამა ბოკა



დედა ჩერგო

## საზოგადოებამ „სამართალი“ უკვე დაადგინა: „გამოიძია“, მიუსაჯა“, „დააპატიმრა“ და „დახვრიტა“

„ნაცმოძრაობა“ დადუმდეს! თქვენ არ იყავით, მერაბიშვილის ხელით, „პრეზიდენტის სირის გადასახადს“ რომ კრეფდით?

## ვლადიმერ ხომერიკი: „რუსი და ქართველი ხალხის ერთიანობის ფონდის“ პრეზიდენტი: რა მოვიგეთ იმით, რომ ატოცში ჩამოვედით, ნიფხავი ჩავიხადეთ და ვაჩვენეთ ტრაკი? თუ ვაჟკაცი ხარ, აჩვენე, წინ რაც გაქვს...





## ვახტანგ ხარჩილავა:

# როდის მოუხმობს „ქართული ოცნება“ მოუხმობლებს?

### ყველამ კარგად დაიმახსოვროს, რასაც ახლა ვიტყვი: 2012-შიც, 2013-შიც, 2014-შიც, 2015-შიც, 2016-შიც, 2017-შიც, 2018-შიც ყველა არჩევნები მოიგო ბიძინა ივანიშვილმა და ქართველმა ხალხმა, ქართველმა ხალხმა და ბიძინა ივანიშვილმა



— ჩვენ გავიმარჯვეთ 2012-ში, ჩვენ, „ქართულმა ოცნებამ“, გავიმარჯვეთ 2013-ში, 2014-ში, 2016-ში, 2018-ში — ქართული ოცნების სახელით ლაპარაკობს ტიპი და იე ომახიანად ჩაარაკრაკებს ბოლომდე გამარჯვებათა გრძელ სიას, ბიძინა ივანიშვილს ან საერთოდ არ ახსენებს, ან თუ ახსენებს, გაკვრით, ცალყბად.

მხოლოდ ეს ერთი ტიპი რომ ლაპარაკობდეს ასეთნაირად, კიდევ მოითმენდა კაცი, მაგრამ ბოლო დროს ძალიან მოგვიმრავლდნენ ასეთი ტიპები, თავიანთ განსაკუთრებულ დამსახურებაზე და ღვაწლზე რომ ლაპარაკობენ ხაზგასმით და საქმეს ისე წარმოაჩენენ, თითქოს ეს გამარჯვებები მხოლოდ მათი დამსახურებაა და არა ბიძინა ივანიშვილის, არა ქართველი ხალხის.

არა მგონია ეს ამბავი ამ ადამიანების ნარცისული ბუნების და ყეყეჩური ამპარტავნობის ბრალი იყოს მხოლოდ. ჩემი აზრით, ეს განცხადებები წინასაარჩევნო სამზადისს, უფრო კონკრეტულად, საპარლამენტო სიას უკავშირდება — ვილაც-ვილაცები მესიჯებს გზავნიან იქ, სადაც ჯერ არს — ჩვენი დიდი ამაგი ქართული ოცნების წინაშე არ დაივიწყოთ და 2020 წლის საპარლამენტო სიაში შეგვიყვანეთო.

მეორე ქვეტექსტიც უნდა ჰქონდეს ამ მესიჯებს, ქვეტექსტი, რომელიც თავისი შინაარსით აშკარად არამხადული და მოღალატურია.

ამ მეორე ქვეტექსტის ავტორები თითქოს რაღაც ძალებს მიანიშნებენ: გასაგებია, რომ მიუღებელია თქვენთვის ბიძინა ივანიშვილი, მაგრამ „ქართული ოცნება“ მხოლოდ ივანიშვილი ხომ არ არის? „ქართული ოცნება“ ვართ ჩვენ, ვინც არჩევნებს ვიგებდით. ბიძინა ივანიშვილი ჩვენზეა დამოკიდებული. ამიტომ, პირველ რიგში, ჩვენ გაგვიწიეთ ანგარიში, ჩვენ დაგველაპარაკეთო.

იქნებ რამეს ვიგონებ და ვაზვიადებ?

გადაახვიეთ მათი საპარლამენტო გამოსვლები, მოუსმინეთ მათ ინტერვიუებს და დარწმუნდებით, რომ არაფერი მელანდება.

საქმე იქამდე მივიდა, რომ თვით ვანო ზარდიაშვილმაც კი, რომელიც არავინ იცის, როგორ და რანაირად გაჩნდა „ქართული ოცნების“ 2016 წლის საპარლამენტო სიაში, უცებ ისე დაიწყო ლაპარაკი, თითქოს „ქართული ოცნების“ ვეტერანი წევრი ყოფილიყოს, რომელმაც ქართული ოცნების გვერდიგვერდ მრავალი ომი გადაიტანა: — მე და „ქართული ოცნებაო“, „მე და „ქართულმა ოცნებამო“, „მე და „ქართულ ოცნებასო“, ერთი მე და ბიძინა ივანიშვილმაო არ უთქვამს, მაგრამ რომ დასცლოდა, მაგასაც იტყოდა აუცილებლად.

ვანო წავიდა, მაგრამ სხვა ვანოები დარჩნენ, რომლებიც იგივე ტონით და იგივე გონორით ამტკიცებენ, რომ ისევე როგორც წინა არჩევნები მოიგეს, 2020 წლის არჩევნებსაც მოიგებენ.

ქართული ოცნება თუ ერთი დიდი სახლია, ამ დიდი სახლის შიგნით თავიანთი პატარა პოლიტიკური ქოხების აშენებას ცდილობენ ვილაც-ვილაცები.

თითქოს „ქართული ოცნება“ პოლიტიკური ორგანიზაცია კი არა „მატრიოშკა“ იყოს...

**ზოგიერთი ქოხს არ ჯერდება და სასახლის ჩადგმას აპირებს.**

**რატომაც არა – კედლები – „ქართული ოცნების“, საძირკველი – „ქართული ოცნების“, სახურავი – „ქართული ოცნების“, საყოფაცხოვრებო ტექნიკა – „ქართული ოცნების“, კომუნალური მომსახურების ხარჯები – „ქართული ოცნების“, სასახლე კი მისი, რომელსაც მომავალში ალბათ პოლიტიკური „ავტონომიის“ სტატუსს მიანიჭებს და თავს ამ „ავტონომიის“ ლიდერად გამოაცხადებს.**

„ქართული ოცნების“ მოპარვის, „ქართული ოცნების“ ქურდულად მიტაცების მცდელობაა ეს.

ასეთი მცდელობები თუ დროულად არ აღიკვეთა, მერე გვიანია ხოლმე...

ყველამ კარგად დაიმახსოვროს, რასაც ახლა ვიტყვი: 2012-შიც, 2013-შიც, 2014-შიც, 2015-შიც, 2016-შიც, 2017-შიც, 2018-შიც ყველა არჩევნები მოიგო ბიძინა ივანიშვილმა და ქართველმა ხალხმა, ქართველმა ხალხმა და ბიძინა ივანიშვილმა.

კარგად დაიმახსოვროს ეს ყველამ, განსაკუთრებით მათ, ვინც ამ გამარჯვებათა წყალობით პარლამენტში მოხვდნენ, ვინც ამ გამარჯვებათა წყალობით თბილ და ტკბილ სავარძლებში მოკალათდნენ, ვისი სახელიც და ვისი არსებობაც ქვეყანამ ამ გამარჯვებათა წყალობით გაიგო — დიდკაცურად გაბღენძილები, ამპარტავნული იერით ზემოდან კი ნუ დაჰყურებთ ხალხს, თავი დაიდრიკეთ და ისე ემსახურეთ ადამიანებს.

ბოლო ხანებში გამოჩნდნენ ისეთებიც, რომლებიც ამტკიცებენ რომ „ქართული ოცნების“ დამფუძნებლები არიან, მაგრამ შრომა და ამაგი არ დაუფასდათ და „ქართული ოცნებიდან“ ნაწყენები წამოვიდნენ.

**„ქართული ოცნების“ ერთადერთი დამფუძნებელი ვიცი მე – ბიძინა ივანიშვილი, რომელსაც ასევე ერთადერთი თანადამფუძნებელი ჰყავს – ქართველი ხალხი.**

აი, იმ ქართველ ხალხში შევდივართ ჩვენ ყველანი, ვისაც ჩვენი მოკრძალებული წვლილი გვაქვს შეტანილი „ნაცმოძრაობის“ ფაშისტური რეჟიმის დამარცხებაში.

რა წილებს და პრივილეგიებს ვითხოვთ ამის გამო, რა დამფუძნებლობაზე ვლაპარაკობთ?

მე მგონი, ბევრს სწორად არ აქვს გააზრებული და გაცნობიერებული, რა ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა მოხდა 2012 წლის ოქტომბერში და რა ბეწვის ხიდზე გაიარა საქართველომ.

როგორც ჩანს, ვილაც-ვილაცებისთვის 2012 წლის ოქტომბერი არ იყო ყოფნა-არყოფნასთან გაიგივებული საბედისწერო ომი, თორემ როგორ შეიძლება ადამიანი, რომელიც გულწრფელად იბრძოდა ამ ომში საქართველოს დასახსნელად და გადასარჩენად, დღეს ხან ნიკუტა გვარამიას გაუგორდეს ფეხებთან, ხან ვანო ჯავახიშვილს და იქიდან, გაღმა ნაპირიდან, დაუწყოს ისრების სროლა ბიძინა ივანიშვილს და „ქართულ ოცნებას“.

●

არ ვიცი, საიდან შემოეპარა „ქართულ ოცნებას“ ეს კაპიტულანტური განწყობა და რატომ ისმის ასე ხშირად, რომ მომავალ არჩევნებში „ქართული ოცნება“ ხმების 40–45 პროცენტზე მეტს ვერ აიღებს, რაც, ჩემი აზრით, აბსოლუტურად მცდარი მოსაზრებაა.

ვფიქრობ, 2020 წელს „ქართულ ოცნებას“ აქვს შანსი, გაიმარჯვოს ძალთან დამაჯერებელი ანგარიშით, ოღონდ ერთი პირობით — „ქართული ოცნება“, მისი ელიტარული ბირთვი ძირეულად უნდა გადახალისდეს და გათავისუფლდეს იმ ადამიანებისგან, რომლებიც ქართველმა ამომრჩეველმა უფრო ზუსტად „ქართული ოცნების“ მხარდამჭერებმა ვერ მიიღეს.

მიუხედავად გარკვეული მცდელობებისა, ამ ადამიანებმა ვერ მოიპოვეს „ქართული ოცნების“ მხარდამჭერთა ნდობა და პატივისცემა.

მათ ვერაფერი შეჰმატეს ქართულ ოცნებას, პირიქით — დაბლა დასწიეს მისი რეიტინგი, ხელი შეუწყვეს „ქართული ოცნების“ ელექტორატის გადინებას.

**ხანდახან მეჩვენება, რომ ბიძინა ივანიშვილს, რომელიც, როგორც ვთქვით, ერთპიროვნული ავტორია „ქართული ოცნების“ მიერ მოპოვებული ყველა გამარჯვებისა, ერთდროულად ორ ფრონტზე უწევს ბრძოლა – ერთი, პოლიტიკური ოპონენტების და კონკურენტების დასამარცხებლად, მეორე კი საკუთარი გუნდის მიერ დაშვებული შეცდომების გამოსასწორებლად, მათი უგერგილო და არაეფექტური, ზოგჯერ დეზერტირობის ზღვართან მიახლოებული ქმედებების ამოსაქაჩად.**

ძნელი სათქმელია, სად უფრო მეტ რესურსს და ენერგიას ხარჯავს ბიძინა ივანიშვილი — პირველ ფრონტზე თუ მეორე ფრონტზე, პოლიტიკურ კონკურენტებთან ჯახში თუ თავისიანებთან ჭიდილში...



„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ტაშკენტის ქ. 18;
ტელ.: 593 44 04 01; 593 56 11 18.
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს.
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.







უფრო ნათელი რომ იყოს რისი თქმაც მინდა, გავიხსენოთ თუნდაც 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნები სადაც ბიძინა ივანიშვილს მისი გუნდის მიერ, ფაქტობრივად, თვითდინებაზე მიშვებული და თავდაღმართზე დაქანებული საარჩევნო მანქანის ხელახლა ამოქოქვა მოუხდა, რაზეც უზარმაზარი ენერგია და რესურსები დაიხარჯა.

ერთ სერიოზულ ნაკლს ვამჩნევ „ქართულ ოცნებას“ – ის მხოლოდ არჩევნების მოახლოების წინ დგამს ენერგიულ ნაბიჯებს, მანამდე კი თითქოს უმოქმედოდაა, დაპაუზებულ მდგომარეობაშია.

არადა, მხოლოდ წინასაარჩევნო პერიოდი კი არა საარჩევნო დღეა ყველა დღე, ყველა წუთი და საათი.

აი, ეს თანმიმდევრული, უწყვეტი დინამიკა აკლია „ქართულ ოცნებას“, ხოლო დაპაუზებული მდგომარეობიდან მოქმედებაში გადასვლა არც ისე იოლია…

●

ვინც მბობს, რომ „ქართული ოცნება“ არჩევნებში ხმათა უმრავლესობას ვერ აიღებს, ის ავტომატურად იმასაც ამბობს, რომ 2020-ში ხელისუფლებაში კვლავ ნაცმოძრაობა ბრუნდება თავის განაყოფ-განშტოებებთან, ერთად.

დიახ, „ნაცმოძრაობა“, რადგან არსებულ მოცემულობაში სხვა პოლიტიკური ძალა, რომელიც ამ თამასას შეწვდება, უბრალოდ არ არსებობს.

ეს ამბავი რომ მოხდება, მერე რა ვქნათ – კოალიციური მთავრობა უნდა შევქნათ ნაცმოძრაობასთან?

ხომ „დიდებული“ პერსპექტივაა?

ამ „დიდებული“ პერსპექტივისთვის იბრძოდა საქართველო ამდენი ხნის განმავლობაში?

– არა და არა! არავითარ შემთხვევაში ნაცმოძრაობასთან და ევროპულ საქართველოსთან არ ვითანამშრომლებთო – აცხადებენ „ქართული ოცნების“ მესვეურები.

– დედას ვფიცავართ და მამას ვფიცავართ, „ქართულ ოცნებას“ კოალიციურ მთავრობას არ შევუქმნითო! – გვარამიას „ხატზე“ იფიცებენ ნაცები და ევრონაცები.

ჩიხია! გარდაუვალი კრიზისია!

არსებობს თუ არა გამოსავალი ამ ჩიხური სიტუაციიდან?

კი, არსებობს!!!

ერთადერთი გამოსავალი ამ მდგომარეობიდან ის არის, რომ „ქართულმა ოცნებამ“ 2020 წლის არჩევნებში უნდა გაიმარჯვოს!

რთული ამოცანაა?

რთული ამოცანაა, მაგრამ არა შეუსრულებელი, არა შეუძლებელი.

ეს გამარჯვება იმდენად „ქართულ ოცნებას“, როგორც პოლიტიკურ ორგანიზაციას კი არ ჭირდება, არამედ ის, პირველ ყოვლისა, ჭირდება საქართველოს, ქართველ ხალხს და ჭირდება იმისთვის, რომ თავიდან აიცილოს ქაოსი, დესტაბილიზაციის საფრთხე, კრიზისი, სრული კოლაფსი საგარეო პოლიტიკის მიმართულებით, სრული კოლაფსი ქვეყნის შიგნით.

2020 წელს „ქართული ოცნების“ დამარცხება ფაქტობრივად ნიშნავს გასული საუკუნის 90-იან წლებში დაბრუნებას, ყველა იმ საგანგაშო გაგრძელებების პერსპექტივით, რაც იმ წლებს მოჰყვა.

„ქართული ოცნების“ გამარჯვებას იმიტომ კი არ მივიჩნევ უალტერნატივო და ერთადერთ სწორ გადაწყვეტილებად, რომ ამ პოლიტიკური ორგანიზაციის მიმართ არანაირი პრეტენზია და შენიშვნა არ მაქვს.

სრული დემაგოგია და თვალთმაქცობაა ე.წ. „მესამე ვარიანტი“ ანუ უსუფაშვილისეული „დოქტრინა“ – ხელისუფლებიდან „ქართული ოცნება“ აუცილებლად უნდა გავუშვათ, ოღონდ ისე, რომ ნაცმოძრაობა კვლავ ხელისუფლებაში არ მობრუნდეს.

არა სიცოცხლე, არა სიკვდილი, არამედ რაღაც სხვა – ამბობდა გრანელი.

არა „ქართული ოცნება“, არა ნაცმოძრაობა, არამედ რაღაც სხვა – ამბობს – უსუფაშვილი, ქართული პოლიტიკის ახლადმოვლენილი გრანელი, ოღონდ იმას არ აზუსტებს, ეს „რაღაც სხვა“ საიდან როგორ უნდა გამოგვეცხადოს, როცა ეს რაღაც თუ ვიღაც სხვა უბრალოდ არ არსებობს და არც იმის შანსი ჩანს, რომ ერთ წელიწადში ქართული პოლიტიკა დაფეხმძიმდება და ახალ გოლიათს დაბადებს.

ქართული პოლიტიკა ბერწია, ქართულ პოლიტიკას განაყოფიერების უნარი დიდი ხანია დაკარგული აქვს.

ერთადერთი, ვინც ბოლო ხანებში „იმშობიარა“ ეს ნაცმოძრაობაა, რომელმაც ერთმანეთის მიყოლებით რამდენიმე პოლიტიკური ნაბიჭვარი



შვა, მათ შორის „ევროპული საქართველო“.

**„ნაცმოძრაობა“ „ევროპული საქართველოს“ სუროგატი დედაა, თუმცა ვინაა მამა, ჯერჯერობით დაუდგენელია…**

**ასეა თუ ისეა, ქართული პოლიტიკის საშობიარო სახლში ლიმიტი ამოწურულია – ვინც გასაკეთებელი იყო, გაკეთებულია, ვინც დასაბადებელი იყო, დაბადებულია, მათ შორის ისეთებიც, რომლებიც სჯობდა, საერთოდ არ დაბადებულიყვნენ…**

●

„ქართულ ოცნებას“ ხშირად საყვედურობენ, რომ მან ვერ მოახერხა ფაშისტურ-კრიმინალური წარსულის მქონე „ნაცმოძრაობის“ გაძევება პოლიტიკური ასპარეზიდან.

კარგად რომ დავუკვირდეთ, ეს საყვედური მთლად სამართლიანი არ არის.

ქართულ ოცნებას კი არა, პირველ რიგში, ქართულ საზოგადოებას შეეძლო ამის გაკეთება და შეეძლო ძალიან მარტივად – არჩევნებში ამდენი ხმა არ უნდა მიეცა ნაცმოძრაობისთვის და მორჩა, ნაცმოძრაობა თავისთავად გაქრებოდა რადარებიდან.

შეიძლება ვინმეს ძალიან რადიკალურ განცხადებად მოეჩვენოს ის, რასაც ახლა ვიტყვი, მაგრამ მაინც უნდა ვთქვა: მოქალაქე, რომელიც „ნაცმოძრაობას“ უჭერს მხარს, არ მიმაჩნია კეთილსინდისიერ, წესიერ და პატიოსან ადამიანად.

**დღეს „როცა უკვე ყველაფერი ცნობილია ნაცმოძრაობის „საგმირო“ საქმეების შესახებ, სახეზეა მათ მიერ ჩადენილი უამრავი შემზარავი დანაშაული და ხმას მაინც ამ დანაშაულის ჩამდენებს თუ აძლევ, შენც დამნაშავე და დანაშაულის თანამონაწილე ხარ.**

როცა სეთ მცირერიცხოვან ერში, როგორც ქართველი ერია, ასეთი მოქალაქეების რაოდენობა ნახევარ მილიონს, აჭარბებს ეს უკვე ეროვნული მასშტაბის უბედურებაა, რომელსაც ძალზე სერიოზული კვლევა და ანალიზი სჭირდება და



არა მხოლოდ პოლიტიკოსებისა და პოლიტიკური წრეების მხრიდან…

საქართველო ფსიქიატრიული რესპუბლიკააო – თქვა ერთმა ნიჭიერმა ქართველმა ფილოსოფოსმა.

საქართველო ნაცმოძრაობის 9 წლიანი მმართველობის რეჟიმში მუდმივი რყევის, სტრესის, ფსიქოზის და ნერვოზის ატმოსფეროში ცხოვრობდა რამაც ერის ფსიქიკას მძიმე დაღი დაასვა.

სხვა გზა არ არის – 2020-ში ეს სიტუაცია უნდა დამთავრდეს, 2020-ში ნაცმოძრაობა უნდა დამთავრდეს, რომ ქვეყანამ წინსვლა და განვითარება შესძლოს.

თუნდაც გადაკვრით საუბარი ნაცმოძრაობასთან და მის განშტოებებთან კოალიციური მთავრობის შექმნაზე ერის შეურაცხყოფაა, ერის ღირსების ფეხქვეშ გათელვაა.

ამას ქართველი ხალხი ვერ შეეგუება…

●

ისე როგორც სახლს, პოლიტიკურ პარტიასაც ჭირდება ხოლმე გამოგვა და გამოწმენდა.

„ქართულ ოცნებაშიც“ რომ დროულად არის ჩასატარებელი დიდი „უბორკა“, ამას თვით ამ პარტიის მესვეურებიც კარგად ხედავენ.

„ქართულ ოცნებაში“ რევოლუციური ცვლილებები რომ უნდა მოხდეს და იქ ახალი სახეები, ახალი ადამიანები უნდა მოვიდნენ, არც ეს იწვევს ეჭვს, მაგრამ ეს ახალი სახეები იმათ რომ არ უნდა მოაყვანონ, რომლებიც თვითონ არიან გასაყვანები თამაშიდან, ესეც ცხადია.

ახალი სახეებიო რომ ვამბობ, მაინცდამაინც ახალგაზრდული ასაკის უწარსულო და უბიოგრაფიო ადამიანებს არ ვგულისხმობ.

ქართულ საზოგადოებაში არსებობს კვალიფიციური, კომპეტენტური, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ადამიანების საკმაოდ დიდი რეზერვი, რომლებისთვისაც არავის მოუხმია არც შევარდნაძის, არც სააკაშვილის და, სამწუხაროდ, არც „ქართული ოცნების“ დროს.

მოუხმობლებს ვეძახით ჩვენ ადამიანთა ამ კატეგორიას.

მოუხმობლებს მოუხმეთ, ძვირფასო მეგობრებო, „ქართული ოცნებიდან“ და ეს ძალიან ყრუდ და მჭიდროდ მიხურული კარიც ცოტა გამოაღეთ, რომ შიგნით მყოფებმა უფრო კარგად გაიგონ რა ხდება გარეთ…





# ვის აძლევს გამარჯვების ყველაზე დიდ შანსს არჩევნები ნულოვანი ბარიერით?

*გვესაუბრება ანალიტიკოსი ვაჟა ბერიძე:*

**— ბატონო ვაჟა, როგორ შეაფასებთ წინასაარჩევნო პროცესს? თუ მმართველმა გუნდმა კოალიციური მთავრობა ვერ ჩამოაყალიბა, როგორ განვითარდება მოვლენები?**

— ზოგადად, ვფიქრობ, არჩევნებზე საუბარი ნაადრევია, რადგან ამ მნიშვნელოვან მოვლენამდე, თითქმის, ერთი წელია დარჩენილი. ამიტომ, ჩემი აზრით, არჩევნებამდე ბევრი წყალი ჩაივლის და ათასი რამ მოხდება. შესაძლოა, ერთი წლის შემდეგ, ჩვენ, სულ სხვა ვითარება მივიღოთ. გააჩნია როგორ წარიმართება მოვლენები ქვეყნის შიგნით და გარეთ — საერთაშორისო არენაზე, რამაც გამორიცხული



არ არის ელექტორატის განწყობასა და სიმპათია-ანტიპათიებზე ძალიან მნიშვნელოვანი, არსებითი ზეგავლენა მოახდინოს. წინასაარჩევნო პროცესი ბევრმა პოლიტიკურმა ძალამ უკვე დაიწყო. ასე, რომ პირველ შედეგებზე შეგვიძლია ვისაუბროთ კიდეც.

**— ბატონო ვაჟა, ირაკლი კობახიძემ არჩევნების მოგების პროცენტული მაჩვენებელი დაასახელა. თქვენ, რა მოსაზრება გაქვთ ამ საკითხზე?**

— პროცენტული რაოდენობების დასახელება ნაადრევი მგონია. ზოგი ამას საზოგადოებრივი აზრის მართვისთვის, ზოგიც მანიპულირების და ზოგიც, უბრალოდ, თავისი მხარდამჭერების გამხნევების მიზნით აკეთებს. ყველა შემთხვევაში, ბოლო დროს რა ციფრებიც მოვისმინეთ: დაწყებული „ენ-დი-აის“ და „აი-რაის“ გამოკითხვებით და დამთავრებული ირაკლი კობახიძის მიერ განაწილებული პროცენტებით, რაც, რატომღაც, ერთ დღე-ღამეში შეიცვალა, ეს ყველაფერი არასერიოზული მგონია. საზოგადოება „ენ-დი-აის“ და „აი-რაის“ გამოკითხვებს ნაკლებად ენდობა. მათ არ აქვთ ისეთი ავტორიტეტი, რომ მათ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები სარწმუნოდ მივიღოთ. ასევე, მოცემულ შემთხვევაში, ვერ ვიკამათებთ ირაკლი კობახიძის ფანტაზიებზე, თუ როგორ ანაწილებს იგი პროცენტებს საკუთარი პარტიის სასარგებლოდ. საერთოდ, ამ პროცენტებზე საუბარი ჯერ ნაადრევი მგონია. უმჯობესი იქნებოდა მმართველ პარტიას, პრეზიდენტ ზურაბიშვილს, სხვა საერთაშორისო ფონდებს რომლებიც საქართველოში საქმიანობენ, იმაზე ეზრუნათ, რომ ქართულ საზოგადოებას, პოლიტიკური პარტიების მიმართ, საზოგადოების განწყობის თაობაზე მიუკერძოებელი და ზუსტი წარმოდგენა ჰქონოდათ. ასეთი სურათი, სამწუხაროდ, არ გვაქვს იმიტომ, რომ ქართული სოციოლოგიური კვლევის კომპანიებს არ გააჩნიათ შესაბამისი ავტორიტეტი, ფაქტობრივად, საზოგადოებრივი აზრის ამგვარ კვლევას არ აწარმოებენ, რადგან ეს მოთხოვნადი არ არის. ყველას — ოპოზიციასაც და ხელისუფლებასაც ხელს აძლევს ის, რომ ჩვენ არ ვიცოდეთ რეალურად რა განწყობებია საზოგადოებაში.ე.წ. პროდასავლელებიდან ამის შიში ეფუძნება შემდეგს: ვაითუ, მათ მიერვე განსაზღვრულმა პრორუსულმა ძალებმა მოსახლეობისგან იმაზე მეტი მხარდაჭერა მოიპოვონ, ვიდრე ეს, მათთვის, მისაღები იქნებოდა. ამ შიშის გამო, წლების მანძილზე, სტრატეგიულ პარტნიორებთან — აშშ-თან, ევროკავშირთან ერთად გარკვეული დოზით არჩევნების გაყალბებაზე, თვალს ვხუჭავდით. ახლაც, თითქოს, როგორც ხელისუფლებას, ისე მთავარ ოპოზიციურ ძალებს ასეთი ვითარება აწყობდათ კიდეც. ვფიქრობ, მაინც, გარკვეული მიმართულებით, „ენ-დი-აის“ და „აი-რაის“ კვლევები უფრო სარწმუნოა, ვიდრე კობახიძის მიერ დანახული პოლიტიკურ ძალთა განლაგების სურათი. აქედან გამომდინარე, შემდეგი უნდა ვთქვათ: მოლოდინი, თითქოს, ვერცერთი პარტია მომავალ საპარლამენტო არჩევნებზე ნახევარს პლუს ერთი ხმის მოპოვებას ვერ შეძლებს, ნაადრევად მიმაჩნია. შესაძლოა, მოვლენები ისე განვითარდეს, რომ რომელიმე პოლიტიკური პარტია, სუბიექტი მნიშვნელოვნად დაწინაურდეს. აქედან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ ძალიან საინტერესო ერთი წელი გველის. თუ მომავალი ერთი წლის მანძილზე მნიშვნელოვანი არაფერი მოხდა და საზოგადოების განწყობა ისეთივე იქნა როოგორიც ახლა არის, მაშინ შეგვიძლია ვთქვათ: ვერცერთი პოლიტიკური ძალა დამოუკიდებლად მთავრობის ჩამოყალიბებას ვერ შეძლებს. ანუ, ხმების 50%-ზე მეტს ვერ მოაგროვებს. ეს იმის გათვალისწინებით, რომ მომავალ არჩევნებზე იქნება ნულოვანი ბარიერი, ასევე, არ შედგება კოალიციები, ბლოკები. ამ შემთხვევაში, ვერცერთი პარტია მთავრობის შექმნას ვერ შეძლებს. თუმცა, ამავე დროს მიმაჩნია, რომ თუ მოვლენები ასე განვითარდა, ლიდერი „ქართული ოცნებაა“ და მას, ჩემი ვარაუდით, სადღეისოდ, მხარს უჭერს ყოველი მესამე ამომრჩეველი, ეს, დაახლოებით, ელექტორატის ვისაც არჩევნებზე



მისვლა გადაწყვეტილი აქვს30%-ია. მეორე ადგილზე მოიაზრება „ნაცმოძრაობა“. მას, სავარაუდოდ, მხარს უჭერს, დაახლოებით, 18–20%. აქ, მუშაობს „ნაციონალების“ მხარდამჭერი წრის, ასევე, სააკაშვილის ფაქტორი. ამის შემდეგ მოდის „ევროპული საქართველო“ და „პატრიოტთა ალიანსი“ რომელთაც, ჩემი აზრით, ამომრჩევლის 7–7% უჭერს მხარს. ყველა დანარჩენი პარტია, სადღაც, 1-დან 3%-მდე მერყეობს.

**— პოლიტიკაში ახალი მოთამაშის — „ლელოს“ შემოსვლაზე რას ფიქრობთ?**

— ჩემი აზრით, ეს პარტია პოლიტიკურ ძალთა განლაგებაში გარკვეულ კორექტივებს შეიტანს. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ხაზარაძეს აქვს თავისი ბეგრაუნდი, რომელიც ქართველი საზოგადოების გარკვეული ნაწილისთვის კატეგორიულად მიუღებელია. იგი საბანკო სფეროს წარმოადგენს და მის მიმართ საზოგადოების დამოკიდებულება ნეგატიურია. მიუხედავად ამისა, მას გარკვეული ელექტორატის მიმხრობა შეუძლია. ვერ დავეთანხმები კალაძეს, თითქოს, ხაზარაძეს გონებრივი შესაძლებლობები არ ეყოფა მნიშვნელოვანი ამოცანები გადაწყვიტოს. ასეთი განცხადება ხელსაყრელი არ არის. რეალურად, ხაზარაძე უნარიანი ადამიანია, თუმცა, იმ სტრატეგიითა და ტაქტიკით რაც მან საზოგადოებას შესთავაზა, იმ პრინციპით, რითაც თავის გუნდს არჩევს, ვფიქრობ, ასე პოლიტიკაში ეფექტური და ღირსეული მოსვლა გაუჭირდება. ბევრი რამ აქვს შესაცვლელი. მმართველი გუნდი კი მიუხედავად ყველაფრისა, მაინც სერიოზული სტრუქტურირებული ძალაა, რომლის უკანაც დიდი ფინანსური რესურსი დგას. მასთან, დღესაც და ხილულ პერსპექტივაშიც, სხვა პოლიტიკურ ძალებს კონკურენცია გაუჭირდებათ. ერთადერთი ვინც შეიძლება პოლიტიკურ სივრცეში დესტრუქციული ელემენტები შემოიტანოს, ვითარება დაძაბოს და ამ გზით „ქართულ ოცნებას“ რაღაც სახის კონკურენცია გაუწიოს, ეს გახლავთ „ნაცმოძრაობა“, მისი სატელიტები და მისგან წარმოშობილი პარტიები. მაგრამ ივანიშვილი მათ, ყველა შესაძლებელ შემთხვევაში, დღესაც და ხილულ პერსპექტივაშიც, დაამარცხებს. თუმცა, საზოგადოების გარკვეული ნაწილისთვის „ქართული ოცნებაც“ მიუღებელია და „ნაცმოძრაობაც“. ამიტომ, აუცილებელია მათი ინტერესების გამომხატველი პოლიტიკური ძალის შექმნა, რასაც ადამიანური რესურსიც სჭირდება, ხედვაც და ფინანსებიც. ამ ყველაფრის მობილიზება არენაზე მყოფი ძალებიდან ყველაზე კარგად წესით ხაზარაძეს შეეძლო, მაგრამ ვფიქრობ, რომ მან ამ მიზნისკენ მიმავალ გზაზე არასწორი ტაქტიკა აირჩია. აი, ეს ვითარება. ვფიქრობ, არსებობენ ძალიან ნიჭიერი, უნარიანი ადამიანები, რომელთაც პარტიები დააფუძნეს ან აწი აპირებენ, მაგრამ მოკლე დროში შედეგების მიღწევა გაუჭირდებათ იმიტომ, რომ არც ინტელექტუალური რეასურსი









არის იოლი მოსაძებნი და არც ფინანსური. ამის გარეშე ყველაფერი პრიმიტიულ პოპულიზმამდე დაიყვანება, რასაც საქართველოში ყავლი გაუვიდა. მოგეხსენებათ, ჩვენთან არც ბოლო პერიოდის სომხეთია და არც სხვა ქვეყანა, რომ პოპულიზმის ტალღაზე რომელიღაც უცნობი ლიდერი გამოვიდეს არენაზე და ხელისუფლება შეცვალოს. მიმაჩნია, რომ ეს ქართული დემოკრატიის განვითარების გზაზე, უკვე, ჩავლილი წყალი, დრო და ეტაპია. თუმცა,



თუ მოვლენები ასე წარიმართა, ბუნებრივია, „ქართულ ოცნებას“ შეუძლია 30% -იანი მხარდაჭერა 40%-მდე ასწიოს. „ნაცებს“ შეუძლიათ თავიანთი პროცენტი ცოტათი გაიუმჯობესონ. მათ ელექტორატის მისამხრობად ძალიან ცოტა რეზერვი აქვთ. ისინი „ევროპულ საქართველოს“, უკვე, ღიად უპირისპირდებიან. ბუნებრივია, არც „პატრიოტთა ალიანსს“ აქვს ინტელექტუალური და ფინანსური რესურსი. მან შეიძლება თავისი 7–8% -იანი მხარდაჭერა გააორმაგოს, მაგრამ ამის ზევით ველარ წავა.

**— „ქართული ოცნება“ აცხადებს, რომ არ ითანამშრომლებს არც „ნაცებთან“, არც „ევროპულ საქართველოსთან“, არც „პატრიოტთა ალიანსთან“. როგორ ფიქრობთ, ვისთან შეიძლება მან ითანამშრომლოს?**

— „ქართული ოცნება“ კოალიციური მთავრობის ჩამოყალიბებას არავისთან აპირებს, ჯერჯერობით, ასე ჩანს — არ აპირებენ თანამშრომლობას არც „ნაცებთან“, არც „ევროპულ საქართველოსთან“. გართულებული იქნება ურთიერთობა „პატრიოტთა ალიანსთანაც“ იმ იმიჯის გათვალისწინებით, რაც მათ „ნაცების“ მიერ კონტროლირებადმა და დღესაც ინერციით ფუნქციონირებადმა, ძლიერმა მედიამ შეუქმნა. ასე, რომ კოალიციის შეკვრა მათთანაც ძნელი იქნება. შესაძლოა სხვა ძალებთან თანამშრომლობა, პატარ-პატარა პარტიებით მანიპულირება, მაგრამ ეს, მთავრობის ჩამოსაყალიბებლად, საკმარისი არ იქნება. ვიმეორებ, ეს დღეის გადასახედიდან, მაგრამ ერთი წლის მერე რა სურათი გვექნება, ძნელი სათქმელია. ჩემი აზრით, მმართველობის ეს ფორმა ნაადრევად იქნა არჩეული. ჩვენ, საპარლამენტო დემოკრატიისთვის, მზად არ ვართ. ეს გაცილებით მაღალ პოლიტიკურ კულტურას, მინიმუმ რამდენიმე სერიოზულ და ძლიერ პარტიას გულისხმობს, რასაც მართალი გითხრათ ამ ქვეყანაში ვერ ვხედავ, მათ შორის, მმართველი პარტიის ჩათვლით. მისი პარტიული სტრუქტურირება, შიდაპარტიული დემოკრატია და იდეოლოგიური პლატფორმის ბუნდოვანება საშუალებას არ იძლევა იგი ძლიერ პარტიად ჩავთვალოთ. იგი უფრო ტექნოკრატებით მართული მთავრობის სახელისუფლებო პარტიაა. ჩვენთან არ არის ტრადიციის მიმდევარი პარტიები, რომლებიც თავიანთ პრინციპებს ერთგულებენ, თუნდაც, აგებენ ან იგებენ, მაგრამ მაინც ტრადიციების ერთგულნი რჩებიან და ასე მოღვაწეობენ, მუშაობენ. მიუხედავად ამისა, მაინც მიმაჩნია, რომ სწორედ, მმართვის საპარლამენტო მოდელი ქართული ეთნოფსიქიკის, მოსახლეობის გუნება-განწყობის, საქართველოს ხალხის ეთნიკური შემადგენლობის გათვალისწინებით ჩვენს შინაგან სამყაროს და



ხედვებს უფრო კარგად მოერგება. თუმცა, ყველაფერს თავისი დრო აქვს. ამ ეტაპზე, ეს, ნაჩქარევი იყო. მაგრამ რადგან ეს ფორმა ავირჩიეთ, იმასაც უნდა შევეგუოთ, რომ შეიძლება არჩევნების შემდეგ მთავრობა ვერ ჩამოყალიბდეს და აუცილებელი გახდეს ახალი არჩევნების ჩატარება. რას ვიზამთ, ეს რთული გზაა. თუ ამ გზით წავედით, ყველაფრისთვის მზად უნდა ვიყოთ, რათა საჭიროების შემთხვევაში, ხელახალი არჩევნები ჩატარდეს. არჩევნების ხელახლა ჩატარებაში ერთადერთი დიდი პლუსი ის იქნება, რომ ხალხი პოლიტიკაში კიდევ უფრო აქტიურად ჩაერთვება, რადგან სწორედ იგი არის ქვეყანაში პოლიტიკის მთავარი შემოქმედი, ხელისუფლების წყარო და ყველაფრის განმსაზღვრელი. თუმცა, ბოლო 30 წლის მანძილზე, ხალხი, ქართული პოლიტიკიდან გაძევებულია. ძირითადად, ყველაფერს ქარიზმატული ლიდერები წყვეტენ. აქედან გამომდინარე, ხალხის პოლიტიკაში შემოსვლის, დაბრუნების გარეშე, სერიოზულ დემოკრატიაზე ლაპარაკი ზედმეტია. ძალიან ზედაპირულია საუბარი ჩვენს მყარ დასავლურ სტრატეგიულ კურსზეც. ამიტომ, სჯობს ამ გზით ვიაროთ, ის ამოცანები გადავჭრათ, რასაც ჩვენს წინაშე დრო დააყენებს და ხალხი გადაწყვეტს.

**— თქვენ, დაასახელეთ პროცენტული მაჩვენებლები — ვინ რამდენი ხმა შეიძლება მიიღოს ამომრჩევლისგან. ამ გათვლებით, პარლამენტში ისევ ის პარტიები შევლენ, რასაც დღეს ვხედავთ. როგორ ფიქრობთ, მიუხედავად იმისა, რომ პარტიების რიცხვი საქართველოში საკმაოდ დიდია, რამდენად არის არჩევანის მრავალფეროვნება პოლიტიკური თვალსაზრისით?**

— ვფიქრობ, დაწინაურებული პარტიების გარდა, ყველა ძველ და ახლადჩამოყალიბებად პარტიას,




მომავალი წლის შემოდგომაზე, პარლამენტში მოხვედრის შანსი ექნება. პირადად, მე, ნულოვანი ბარიერის წინააღმდეგი ვიყავი, მაგრამ რადგან პოლიტიკური სპექტრის ძირითადი ნაწილი ამას დაეთანხმა, ჩემს პრეტენზიას ვხსნი. არადა, სულ თვალწინ მიდგას 1993–95 წლების პარლამენტი, სადაც 25 პოლიტიკური ორგანიზაცია იყო წარმოდგენილი და გადაწყვეტილებების მიღება ძალიან რთული იყო. იმ პარლამენტის ერთადერთი მიღწევა კონსტიტუციის მიღება იყო, სხვა, მან, ბევრი ვერაფერი გააკეთა. მეშინია, ახალ პარლამენტშიც იგივე არ განმეორდეს. ამიტომ,



სჯობდა ბლოკები დაგვეტოვებინა და პარლამენტში შემსვლელთათვის 3%-იანი ბარიერი დაგვეწესებინა. ეს უფრო წაადგებოდა ქვეყანას, ვიდრე, ვთქვათ, ივანიშვილის მიერ შემოგდებული საკმაოდ გამჭრიახი და გონივრული ვარიანტი, რომელიც ყველას აძლევს შანსს, მაგრამ ყველაზე მეტ შანს აძლევს ივანიშვილს, რათა მან, პარლამენტში განვითარებული წინააღმდეგობების ფონზე, „ქართული ოცნების“ მეშვეობით, საზოგადოებას თავისი ნება უკარნახოს. გააჩნია ეს პარტიები — ახალიც და ძველიც, ასევე, პატარა პარტიები მცირე გავლენით და ელექტორატის დაბალი მხარდაჭერით, როგორ იმუშავებენ, რა სტრატეგიას აირჩევენ, რას შესთავაზებენ მოსახლეობას. ჩვენ, კარგად დავინახეთ, რომ საზოგადოება უკვე შეთანხმებულია იმაზე, რომ საარჩევნო ურნასთან არჩევნების გაყალბება, პრაქტიკულად, შეუძლებელია. საზოგადოებას ეს რწმენა უყალიბდება. თუმცა, რა თქმა უნდა, ხელისუფლებასაც და ოპოზიციასაც უამრავი ბერკეტი აქვს, რომ შემოვლითი გზით ამომრჩეველზე ზეწოლა მოახდინოს. თუმცა, დრო ყველას ძალიან ცოტა რჩება. სამწუხაროდ, ყველა პარტიაში ვხედავ იდეების დეფიციტს, საზოგადოებისთვის შეთავაზებების მწირ ჩამონათვალს, ინტელექტუალური რესურსის სიმცირეს. იგივე, ითქმის ხაზარაძის მიერ შემოთავაზებულ ახალ სახეებზეც. შრომითი ბიოგრაფიის დაწყება, პოლიტიკაში, ცოტა ძნელი ამბავია. პროფესიონალ პოლიტიკოსებად არ იბადებიან, არამედ ყალიბდებიან. ადამიანი რომელიც არის კარგი ექიმი, ხელოვანი, მწერალი ან, თუნდაც, ბიზნესმენი, პოლიტიკაში მოსვლის შემდეგ არანაირი გარანტია არ არსებობს, რომ იგი უკეთესი იქნება, ვიდრე რომელიმე პოლიტიკოსი, რომელიც ხალხს მობეზრდა ან ავტორიტეტი დაკარგული აქვს. ვიდრე პოლიტიკას ასე ვუყურებთ და არ გვიყვარს პოლიტიკოსები, ზოგჯერ სამართლიანადაც მათ მიერ ჩადენილი საქმეების გამო, მანამდე ქვეყანას არ ეშველება. იმიტომ, რომ ტექნოკრატებით მართვა რასაც ხაზარაძე აპირებს, მხოლოდ ისეთ ქვეყანაში შეიძლება, რომელსაც აქვს ჩამოყალიბებული პრინციპები, სახელმწიფოებრიობა, გამართული ინსტიტუციები, რეალურად ფუნქციონირებადი წარმატებული ეკონომიკა, კანონის უზენაესობა და სხვა. ასეთი რამ საქართველოში არ არის და ამ ვითარებაში ტექნოკრატებით მართვა უამრავი პრობლემის შემცველია,



რაც სახეზე გვაქვს. თუ ხაზარაძე ხელისუფლებაში მოვიდა, მაშინვე გამოჩნდება, რომ ეს ძალიან გულანთებული, იგივე, დასავლეთში განათლებამიღებული ადამიანები დღევანდელი რეალობიდან აბსოლუტურად აბსტრაგირებულნი არიან. ხაზარაძეს, ამ ადამიანებით ქვეყნის მართვა, ძალიან გაუჭირდება. ეს ვითარება თუ არ შეიცვალა, ჩვენ, ისეთივე აურზაური გვექნება, როგორიც ბოლო 28 წლის მანძილზეა.

**— საუბრის დასაწყისში ახსენეთ, რომ პროცენტულად მეორე ადგილზე „ნაცმოძრაობაა“. გახარიამ როგორც აღნიშნა: მათ 2020 წლის არჩევნებზე ქუჩაში დატოვებს. თქვენ როგორ ფიქრობთ, „ნაცებს“ არჩევნებში უნდა ვამარცხებდეთ თუ სასამართლოში?**

— საზოგადოება „ნაცებს“ სასამართლოში ვერ დაამარცხებს იმიტომ, რომ არც ამ ორგანოს და არც პროკურატურის რეფორმირება დასრულებული არ არის. მათი დამოუკიდებლობის ხარისხი საკმარისი არ არის იმისთვის, რომ პოლიტიკური კონტექსტის შემცველი საქმეები წარმოებაში მიიღონ და სათანადო, შესაბამისი განაჩენები ისე დააყენონ, რომ საზოგადოებას მათ კეთილსინდისიერებაში ეჭვი არ შეეპაროს. ყველა კონკრეტული დანაშაულის გამოსაძიებლად ხელისუფლებას შვიდი წელი ჰქონდა. შესაბამისად, ბევრი სასამართლო პროცესიც გაიმართა, რომლის მიმართაც საზოგადოების ნაწილს პრეტენზია აქვს, რომ ეს არ იყო სამართლიანი სასამართლო. რაც შეეხება გახარიას, პოლიტიკოსს უფლება აქვს ასეთი განცხადება გააკეთოს. მე, ყოველთვის ვუჭერდი მხარს მის პოლიტიკაში ყოფნას. მიმაჩნია, რომ იგი ზომიერი, პრინციპული და თანმიმდევრულია. მას ყველაზე მეტი შანსი და შესაძლებლობა აქვს ქვეყნის პოლიტიკური ლიდერი გახდეს. ასეთებად ვერც გიორგი კვირიკაშვილი ჩამოყალიბდა და ვერც მამუკა ბახტაძე. კვირიკაშვილი და ბახტაძე ორივე ეკონომიკურ ბლოკს კურირებდა. ქვეყანას პოლიტიკური ლიდერი არ ჰყავდა. გახარიას გაპრემიერებას მხარს ვუჭერდი. მას პოლიტიკური ლიდერის ამპლუაში რეალურად ყოფნის შესაძლებლობა აქვს, რაც ქვეყნისთვის კარგია. როცა იგი ივანიშვილს როგორც თანამოაზრე გვერდით დაუდგება, ასეთ შემთხვევაში, ქვეყნის საქმე უკეთ იქნება. რაც შეეხება მის ფრაზას —



„ნაცმოძრაობას“ დავამთავრებო, ეს ცოტა გადაჭარბებული მგონია. პოლიტიკური მეთოდებით მათი მომავალი პარლამენტის გარეთ დატოვება, ძალიან ძნელი იქნება, მით უმეტეს, უბარიერობის პირობებში. ეს „ნაცების“ მხარდამჭერების დამთავრებასაც ნიშნავს. მისი მხარდამჭერები ამ ქვეყნის მოქალაქეები არიან, ამიტომ, ვერც პოლიტიკურად, ვერც ფიზიკურად მათ ვერაფერს ვუზამთ გარდა ერთი რამისა — დავარწმუნოთ, რომ მათ რჩეულ პოლიტიკურ ძალას მხარი აღარ დაუჭირონ. „ნაცმოძრაობას“, სამწუხაროდ, ჰყავს თავისი ერთგული და დღემდე მიმყოლი ელექტორატი. მეც მინდა, რომ მათ მიერ ჩადენილი ბევრი გადაცდომა, დანაშაული შესაბამისად იქნას შეფასებული, მაგრამ ამ სამართალდამცავი სისტემით ამის გაკეთება შეუძლებელია.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# ღარიბები რომ ვართ, გავიგეთ, მაგრამ ისეთი უნიკალური ქვეყანა, როგორიც საქართველოა, რატომ არის ღარიბი? – ამ კითხვას არავინ სვამს!



საქართველო ღარიბი ქვეყანაა, დაზეპირებულებივით იმეორებს პოზიცია-ოპოზიცია, რატომ არის ღარიბი, პატივცემულნო, საბჭოთა კავშირის დროს ლამის ყველაზე მდიდარი რესპუბლიკა? ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ უბრალოდ, ვიღაცებს უნდათ ღარიბებად დავრჩეთ, რასაც თავისი საკმაოდ ანგარებიანი მიზეზები აქვს. ეკონომიკის ექსპერტის, პროფესორ **სოსო არჩვაძის** განცხადებით, სანამ ჩვენი საზოგადოება არ გააცნობიერებს, რომ პროქართველი ნიშნავს პატრიოტს და იქნება სხვა და სხვა იარლიყების მიწებება, საქართველოს არაფერი ეშველება. პროდასავლურობაზე პრეტენზიის მქონე ფსევდოლიბერალებს რომ კითხო, პროქართველი თურმე იგივე პრორუსი ყოფილა. ამ ტვინგაცხელებულთა და მათ მიმდევართა საყურადღებოდ, პროქართველი ნიშნავს წმინდა ქართულის, ეროვნული ფასეულობების თანამიმდევრულად დამცველს, ვისთვისაც საქართველო არის უპირველეს ყოვლისა. კონსენსუსი არ არის მიღწეული ისეთ ფუნდამენტურ ფასეულობებზე, როგორიცაა ქართული ენა, ქართული სახელმწიფოებრიობა, ჩვენი ზოგადი ინტერესები და ა.შ. ეს უნდა გახდეს ეროვნული თანხმობის საგანი, პოზიციაში ხარ თუ ოპოზიციაში, მნიშვნელობა არ აქვს, უნდა აფასებდე და იზიარებდე ამ ფასეულებებს.

ყველა ნორმალურ სახელმწი-



ფოს უნდა ჰქონდეს ეკონომიკური კონცეფცია, აქვს კი საქართველოს ეს კონცეფცია? პროფესიონალი ეკონომისტის განცხადებით, ქვეყანას მიღებული აქვს სამთავრობო პროგრამა, რომელშიც პერიოდულად, სამთავრობო ცვლილებების პარალელურად შედის ცვლილებები, რასაც კონიუნქტურული მნიშვნელობა უფრო აქვს, რაიმე კონკრეტულ ფაქტს, ან მთავრობის ახალი შემადგენლობის დამტკიცებას უკავშირდება. თუ ქვეყანას არ ექნება მკაფიოდ ჩამოყალიბებული, გრძელვადიანი ინტერესები და მხოლოდ ეტიმოლოგიურ და ყოფით დონეზე გაწერილ ფასეულობებს მიენიჭა პრიორიტეტი, ნებისმიერი პროგრამა კონიუნქტურული და არაფრის მომტანი იქნება. ეროვნული კონსენსუსი და მის საფუძველზე ნებისმიერი შინაარსის პროგრამის მიღება გვჭირდებაო, მაგრამ მთავარი ისაა, ვინ გყავს მეორე მხარედ, ძალიან საეჭვოა, ნაცმოძრაობამ, რომელიც ძალიან „დემოკრატთა" მეცადინეობით მთავარ ოპოზიციურ ძალად გამოცხადდა, თავის სატელიტებიანად ეროვნული საქმის კეთებაში ივარგოს. მოქმედი ხელისუფლება ედუარდ შევარდნაძის მსგავსად, მავნებლებს უწევს ანგარიშს. გავიხსენოთ, ვითომდა შევარდნაძის ოპოზიციაში მყოფმა გიორგი ბარამიძემ, რომელმაც შემდეგ შს მინისტრის რანგში, სისხლიანი ანგარიშსწორება მოუწყო სვანებს, ისიც კი თქვა, კახა თარგამაძის დაბრუნებული აფხაზეთი არ მჭირდებაო. რა მნიშვნელობა აქვს ვინ დააბრუნებდა აფხაზეთს, მთავარია დაბრუნებულიყო. დღეს ეს პერსონა, რომელმაც პიროვნულ ზიზღსა და შეუთანხმებლობას გადააყოლა სახელმწიფო ინტერესები, ისევ პარლამენტშია წამოსკუპებული ოპოზიციონერის მანტიით და თურმე მასთან და მის დამქასებთან ეროვნული კონსენსუსის მღწევაზე უნდა „ვიღვაწოთ". ბარამიძესა და „პროგრესულ" მეგობრებსაც ჰქონდათ კონცეფცია, მაგრამ ეს ანტისახელმწიფოებრივი კონცეფცია იყო, ზურაბ ჟვანიას ძალისხმევით თბილისს გადმოპორტირებულმა, ეკონომიკის „კორიფე" კახა ბენდუქიძემ არ ბრძანა, სოფლის მეურნეობა არ გვჭირდება, ყველაფერს უცხოეთიდან შემოვიტანთო?! ბენდუქიძეს თურმე სტრატეგიული დანიშნულების ობიექტების შესახებაც არაფერი სმენოდა, ლამის მთელი საქართველო გამოიტანა დახლზე, სინდისის გარდა, ყველაფერი უნდა გაყიდოო. ეს პოზიციაც ხომ თავისთავად კონცეფცია იყო, ოღონდ მოღალატეობრივი. კოლექტიური ნაცები ვინც არიან ვიცით, მაგრამ ახალი ხელისუფლება რომ მოხვედი და შვიდი წელია მართავ ქვეყანას, რატომ არ ცვლი დემონურ კანონმდებლობას, რომელიც ყველა სფეროში მოქმედებს, რატომ არაფერს აკეთებ?

დედაქალაქში თითქმის მილიონნახევარი ადამიანი ცხოვრობს, ვინმემ თუ დათვალა, ოფიციალურ დონეზე, რამდენ ხორცს, პურს, პომიდორს, კარტოფილს, საერთოდ სოფლის მეურნეობის პროდუქტებს მოიხმარს ეს ხალხი? თბილისის გარდა, სხვა დიდი ქალაქებიცაა ქუთაისი, ბათუმი, ზუგდიდი, რუსთავი და ა.შ. ვიცით იქაური სტატისტიკა? სოფლის მეურნეობის მთავარი პრობლემა ისაა, გლეხი მოყვანილ პროდუქციას რომ ვერ ასაღებს, ჩავა ამ ქალაქებში და თურქული პროდუქციით გაჯერებული ბაზრები თუ მაღაზიები ხვდება. თურქეთში თუ სხვა ქვეყნებში წარმოებული ხორცპროდუქტებით, ქათმებითა თუ ბარკლებითაა სავსე ბაზარი. რამდენჯერმე რომ ვერ გაყიდის გლეხი პროდუქციას, ინტერესს კარგავს. ან ყურძენი 60 თეთრი უნდა ღირდეს? იძულებული ხდება ეს ხალხი მიატოვოს სოფელი და ოჯახის სარჩენად დედაქალაქში ჩამოვიდეს, ზოგი უცხოეთში გარბის, იცლება სოფლები, როგორ განვითარდება ქვეყნის ეკონომიკა ასეთ პირობებში?! ტაქსების თეთრად გადაღებვით, პრობლემ ავერ მოგვარდება, დედაქალაქის მერი, რომელიც პოლიტიკური ფიგურაა, პირველ რიგში იმით უნდა დაინტერესდეს ვინ კვებავს ამ მილიონნახევრიან ქალაქს, რომ გამოიკვლევს, აღმოჩნდება, რომ ქართული სოფელი კი არ კვებავს, უცხოელები კვებავენ. ფრთიანი ფრაზა იყო, 90-იან წლებში იმპორტიორებმა გადაარჩინეს ქვეყანა, ახლა სწორედ ეს კონტიგენტი ღუპავს ქვეყანას. ყველა ამ ბიზნესს თავისი ლობი ყავს, რომლებიც კოლოსალურ შემოსავლებს ღებულობენ. ეს არის ქვეყნისთვის სერიოზული უბედურება, რაც ხელისუფლებამ უნდა აღკვეთოს, მაგრამ აღკვეთავს კი, როცა თვითონაა ჩართული ამ საქმეში. „ბენდუქიძის კონცეფცია" პირდაპირ უკავშირდებოდა გლობალიზმი თეორიებს, სოფელი არ გინდა? გაანადგურებ სოფლის მეურნეობას, ჩამოყრი იქ მაცხოვრებლებს ქალაქში, აქ თუ იშოვნიან სამუშაოს ხომ კარგი, თუ არა და ქალაქი ხდება ე.წ. გამანაწილებელი პუნქტი, უცხოეთისთვის იაფი მუშახელის მიმწოდებელი. მთავრობა სიხარულით გვამცნობს ხოლმე, რომ თურმე მსოფლიოს რომელიღაც ქვეყანაში, ქართველებს ლეგალური მუშაობის უფლება მოუპოვეს. ხელისუფალნო, ვერ გავიგე რა გიხარიათ, ქვეყანა მკვიდრი მოსახლეობისგან რომ იცლება? იქნება საკუთარი „ენერგორესურსი" იმაში დაგეხარჯათ, რომ ადგილზე აშენებულიყო თუნდაც მცირე ზომა-წარმადობის ფაბრიკა-ქარხნები, რომლებიც ჩვენ ხალხსაც დააესაქმებდა და მათი წარმოებული პროდუქცია შიდა ბაზარსაც დააკმაყოფილებდა, ტუალეტის ქაღალდი და ხელსახოცებიც უცხოეთიდან რომ შემოგვაქვს. ერთი საკონსერვო-გადამამუშავებელი საწარმო მაინც თუ აშენდა დედაქალაქიდან დაცილებულ რეგიონებში, რომ ადგილზე ჩაიბარონ უამრავი ხილი, რომელიც გლეხობას ობიექტური მიზეზების გამო, სარეალიზაციოდ ვერ გამოაქვს და ფუჭდება. ძველ იაპონელებს უთქვამთ, აუცილებელი არ არის კაცს ყოველდღე თევზი მისცე, თევზაობა ასწავლეო. ამ შრომისმოყვარე ხალხს დაეჯერება, მოსახლეობას რაღაც მიზერული დახმარება კი არა, საშუალება უნდა მისცე, რომ საკუთარი ძალისხმევით მიიღოს შემოსავალი. სოსო არჩვაძის განცხადებით, ჩვენი გლეხების მოწეული პროდუქცია ვერ ეყოფა დიდი ქალაქების მოსახლეობას, ეს დანაკლისი შეიძლება შევავსოთ იმპორტით. რაც არ ეყოფა, ზუსტად ის შემოიტანე, როგორ შეიძლება ადგილობრივ მეურნეს ყოველგვარი მოტივაცია რომ მოუსპე. თანხები გამოყვეს ბიუჯეტიდან, იაფი კრედიტი დაარქვეს, თვითონ ვერ მოაბეს თავი და ესეც კომერციულ ბანკებს მისცეს დასარიგებლად. ფაქტობრივად, აქაც კორუფცია ჩართეს.

წინამდებარე სტატიას როცა ვამზადებდი, ერთმა ფრიად ჭკუასაკითხავმა კაცმა მითხრა, პარლამენტში 40 მილიონერი გვიზის, ხომ არ იცით რომელი „სფეროდან" მოვიდნენ, ჩაის კრეფდნენ, მაღაროში მუშაობდნენ თუ რა ბიზნესი ჰქონდათო. ყველასი რა მოგახსენოთ, მაგრამ მათი უმრავლესობა რომ ტენდერების მეშვეობითაა გამდიდრებული, უკვე ეჭვს აღარც იწვევს. ამ თემაზე „საერთო გაზეთი" ადრეც წერდა, როგორ ითბობენ მავანნი ხელს, 20 თუ მეტპროცენტიან „ატკატებზე", დაუმთავრებელ ობიექტებსა თუ უხარისხოდ შესრულებულ სამუშაოებზე. დიდი ხანია შესაცვლელია ეს მახინჯი გადმონაშთი, მაგრამ ვინ შეცვლის და გააუქმებს, როცა „ოქროს ძარღვია". კანონმდებლობის მიხედვით, დამატებითი ღირებულების გადასახადისგან (დღგ) თავისუფლდება მეწარმე, რომელიც საექსპორტო პროდუქციას აწარმოებს და თავადვე ახდენს ექსპორტირებას. შესაბამის სამსახურს ათეულობით მეწარმე ყოლია დაჭერილი, რომლებიც ვითომდა ექსპორტიორობდნენ და დღგ-ს არ იხდიდნენ. გარდა ამ ხალხის დაჭერისა, ხელისუფლებამ რამე იღონა, რომ ეს დანაშაული არ მომხდარიყო? კომპეტენტური წყაროს თქმით, არაფერი, ეს ხარვეზებიანი კანონი, რომელიც მაქინაციის და თაღლითობისთვის სტიმულსა და საშუალებას იძლევა, არავის გაუუქმებია. ვიღაცები დაიჭირეს, უფრო მეტია დასაჭერი, მაგრამ როგორ დაიჭერენ, თავად არიან ჩართული ამ „ბიზნესში" კანონმდებლები და ჩინოვნიკები, ესენი ეკონომიკის განვითარებაზე კი არა, ქვეყნის გაძარცვაზე ფიქრობენო. სოსო არჩვაძის სევდანარევი ხუმრობის არ იყოს, მძიმე ინდუსტრიაზე მძიმე მოგონებებიღა დაგვრჩა. ჩვენი ეკონომიკის ძირითადი წყარო სოფლის მეურნეობა უნდა იყოს, მაგრამ როგორ გინდა ეს დარგი განავითარო, როცა ერთი ლიტრი დიზელის საწვავი ორ ლარზე გაცილებით მეტი ღირს. მსოფლიო ბაზარზე საწვავის ფასის კლება კრიტიკულ ნიშნულამდეც კი, ქართულ ბაზარს რატომღაც არ ეტყობა, ქრონიკულ რეჟიმშია ფასების ზრდაზე ორიენტირებული. წყალს, დენს, გაზს, საწვავს აძვირებ, დი-



8 გვ. →

# „ქართულ ოცნებაში“ არიან ადამიანები, რომლებიც იმაზე მუშაობენ, რომ „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები „ქართულ ოცნებას“ გადაამტერონ

*გვესაუბრება უფლებადამცველი*
***ნიკოლოზ მჭავანაძე***

**— ბატონო ნიკოლოზ, მწვავე განცხადებებით გამოდიხართ, დავით გარეჯის კომპლექსის სადაო საკითხებთან დაკავშირებით რას ფიქრობთ, ვკარგავთ გარეჯსაც?**

— ეს არის პირდაპირი ოკუპაცია. როცა შენს ტერიტორიას ითვისებს უცხო ქვეყანა და იჩემებს ეს ჩემი კუთვნილებააო, სხვა რაღა უნდა იფიქრო.

პრემიერ-მინისტრმა განაცხადა სამონასტრო კომპლექსი ქართული სამღვდელოებისთვის გაიხსნაო, დაჰპირდნენ პრემიერ-მინისტრს, მაგრამ, ფაქტობრივად, მხოლოდ უდაბნოს მონასტერში უშვებენ ქართველ მღვდლებს. აღდგომის მონასტერსა და ჩიჩხიტურში ქართველების შესვლა აკრძალულია.

აზერბაიჯანულმა მხარემ შეთანხმება დაარღვია. ეს, თავისთავად, საგანგაშო ფაქტია, რადგან მათ, ამ მოქმედებებით, ბზარი გააჩინეს ჩვენსა და აზერბაიჯანს შორის.



ახლა ისღა დაგვრჩენია, მივმართოთ საერთაშორისო ორგანიზაციებს და ვთხოვოთ დახმარება.

მხოლოდ რუსეთთან მიმართებაში კი არ უნდა ავტეხოთ განგაში, არამედ როცა სხვა რომელიმე ქვეყანა ჩვენს ტერიტორიას წაეპოტინება, მაშინაც უნდა ვაღიაროთ, რომ ეს არის ოკუპაციის მცდელობა, ან წმინდა წყლის ოკუპაცია.

ზოგიერთი ქართველი ე.წ. ექსპერტი ამტკიცებს, თითქოს გარეჯის სამონასტრო კომპლექსი აზერბაიჯანის დღევანდელ საზღვრებში იყოს მოქცეული. ეს არის სიყალბე. არაერთი რუკა არსებობს, სადაც გარეჯი საქართველოს კუთვნილებაა. ერთადერთი სადაო საკითხი არის ბერთუბანი, მაგრამ ჩიჩხიტური, უდაბნო და მისი შემოგარენი ჩვენს ტერიტორიულ კუთვნილებაშია. ერის ღალატად მიმაჩნია მოსაზრება, რომ თითქოს, ის ტაძრები მათ ტერიტორიაზეა და, რადგან ქრისტიანული ტაძრებია, უფლებას გვაძლევენ ვილოცოთ. სააკაშვილმა შეუწყო ამ მოსაზრებას ხელი და განსვენებულმა ნიკოლოზ რურუამ, როცა თქვეს: უნდა შევეგუოთ, რომ ეს ტაძრები აზერბაიჯანს ეკუთვნისო.

ცნობილია პატრიარქის პოზიცია, არსებობს დოკუმენტებიც, რაც ამტკიცებს, რომ დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსი საქართველოს კუთვნილებაა.

ის, რასაც აზერბაიჯანი აკეთებს, არის მტაცებლობა. დემარკაცია არ მომხდარა და ამათ უკვე მიითვისეს — დადგეს ყაზარმები, ჩააყენეს სამხედროები, გამოფინეს პლაკატები — ჩვენ ამ მიწას არ დავთმობთო, ბერთუბანში ქართველი წმინდანების საფლავები ამოყარეს ისე, რომ საქართველოს საპატრიარქომ არაფერი იცოდა. თქვენ წარმოიდგინეთ, მუსლიმანური ტაძრიდან მათი სიწმინდეები რომ გამოიტანო, საფლავები გაუთხარო, ან ავტომატიანი ხალხი ჩააყენო მეჩეთებთან, საღვთო ომს დაიწყებს აზერბაიჯანი. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ზალკალიანი გამოვიდა და თქვა: საზღვრების 30%-ის დემარკაცია ვერ მოვახდინეთო. თუ ვერ ახერხებენ ამას, ჩართონ საქმეში საერთაშორისო ექსპერტები, მოითხოვონ დახმარება. კიდევ ვიმეორებ, თუ რუსეთთან მიმართებაში შეწუხებული გვყავს მთელი ევროპა-ამერიკა, აზერბაიჯანი ხელშეუხებელია? დაიწყოს განხილვა. მოიტანონ თავიანთი რუკები, ჩვენც დავდებთ ჩვენს მონაცემებს და გაირკვეს სიმართლე. ბოლოს და ბოლოს, მართლა ხომ არ ბნელა. ასე თუ წავიდა საქმე, მაშინ ყველას უნდა დავუთმოთ, ყველას ჩვენ უნდა ვუგოროთ კოჭი. კი, ბატონო, არ უნდა გაეჭიმო ძლიერს, მაგრამ დღეს ჩვენზე ძლიერია ყველა ჩვენს ირგვლივ — რუსეთი, თურქეთი, აზერბაიჯანი, სომხეთიც, შეიარაღების კუთხით, ჩვენზე ძლიერია და დავუთმოთ მაშინ ყველას ყველაფერი.

როცა გარეჯის დაცვაზეა საუბარი, ცხადია, არავინ გულიხმობს იმას, რომ ომი უნდა დავუწყოთ ვინმეს, მაგრამ ღირსება და ჩვენი ქვეყანა უნდა დავიცვათ.

ირანელებით არის სავსე მთელი თბილისი, დავუთმოთ მაშინ მათ დედაქალაქი. ირანი ხომ ჩვენზე ძლიერია?!

თუმცა რომელ გარეჯზე და აფხაზეთ-სამაჩაბლოზეა ლაპარაკი, როცა რუსთაველს და „პლეხანოვს“ ვერ ვაკონტროლებთ.

გადით თბილისის ცენტრალურ უბნებში, ეს თუ ქართული ქალაქია, ვერ მიხვდებით.

ჩამოვიდეს ტურისტი, ამაზე უარს ვინ იტყვის, მაგრამ ასეთი ექსპანსია არ შეიძლება, უძრავი ქონების 60% ქალაქში გაურკვეველი ეროვნების ადამიანების საკუთრებაა დღეს.

**რაც შეეხება გარეჯს, გარეჯი არის მეორე იერუსალიმი, 6000 ბერი ეწამა ამ ადგილას და დღეს ჩვენ გვინდა უბრძოლველად დავთმოთ ეს სიწმინდე? მაშინ სვეტიცხოველიც დავუთმოთ, ვარძიაც, აჭარა ვაჩუქოთ თურქებს და გავხდეთ, ოფიციალურად, მონები.**



საქართველო ყოველთვის იყო მოძალადე მტერზე სუსტი, მაგრამ ნებით არასდროს არ დაგვითმია არაფერი და თუკი ვთმობდით, მაშინ ვამბობდით, რომ იყო დაკარგული. თუ ახლაც ასეა, ვთქვათ, რომ დავკარგეთ გარეჯიც, ოღონდ ვაღიაროთ, რომ უბრძოლველად დავთმეთ და არის ოკუპირებული მეზობელი და „მეგობარი“ აზერბაიჯანისგან. დავარქვათ ყველაფერს თავისი სახელი.

**— ბოლო ხანებში ხშირად საუბრობთ თქვენზე განხორციელებულ ზეწოლებზე. როგორ ფიქრობთ, თქვენი ეროვნული პოზიციებიდან გამომდინარე აკეთებენ ამას?**

— როდესაც ჰერეთზე საუბარს ვიწყებ, ავტომატურად ხორციელდება ჩემზე ზეწოლები.

ორი საქმეა აღძრული, მიმდინარეობს გამოძიება მას შემდეგ, რაც მე გარეჯსა და ჰერეთზე გავაკეთე გამოძიებები და ყველა მტკიცებულება მივიტანე იმ პირების მიმართ, ვინც ჩემზე მუქარებს ახორციელებდა.

**— კონკრეტულად ვინ და რას გემუქრებათ?**

— ცხადია, იმას არ მეუბნებიან, ცუდი კაცი ხარო, მებრძვიან: ნუ აკეთებ ასეთ მკვეთრ განცხადებებს გარეჯთან და ჩვენს ინგილო ძმებთან მიმართებაშიო.

იმ ადამიანების სახელები და გვარები რომ დავასახელო, მათი ჩამოთვლა არაფერს ეტყვის საზოგადოებას, ისინი სოციალური ქსელით, ტელეფონით ახდენენ მუქარებს ჩემზე, ყველა მტკიცებულება, სატელეფონო ჩანაწერებიანად, მივიტანე საგამოძიებო უწყებაში. ერთი გლდანი-ნაძალადევის, მეორე — ვაკე-საბურთალოს რაიონების განყოფილებაში, მაგრამ, როგორც თქვენ არაფერი გაგიკეთებიათ, ისე მაგათ. შემოდეს ეს საქმეები თაროებზე და პასუხისგებაში არავინ მიუციათ.

ახლა, როცა გარეჯზე გავაკეთე ხელახალი განცხადება, პოლიციის ერთი და იგივე ეკიპაჟმა ჩემზე ძალადობა განახორციელა.

განცხადება პოლიციაში შევიტანე უკვე მე-6 დღეა (18.10.2019), ვითხოვ დაისაჯონ ეს პოლიციელები, მაგრამ დღემდე კაციშვილი არ შემხმიანებია. ამასობაში წაშლიან სამხრე კამერებზე ჩანაწერებს, რომელზეც დაფიქსირებულია პოლიციელის ძალადობა, იტყვიან, არ ჩანს ძალადობის ნიშნებიო და ამით მორჩება ყველაფერი.

პოლიციის მხრიდან უკანონობით ვის გააკვირვებ დღეს, მაგრამ ჩემი 11 წლის შვილის თანდასწრებით რომ იძალადეს ჩემზე, ანერვიულეს ბავშვი, წამართვეს მანქანის გასაღები და შეურაცხყოფა მომაყენეს, ამას არავის ვაპატიებ.

ძალიან ბევრი ადამიანი დამიდგა გვერდით, ადვოკატთა ასოციაცია ამ დღეებში განცხადების გაკეთებას აპირებს, ბათუმში აქციაც გამართეს ადვოკატებმა ჩემთვის სოლიდარობის გამოსახატავად, თუმცა რამდენიმემ ისიც მითხრა: კარგი, ნიკა, ნუ ხარ ეჭვიანი, ნუ გგონია, რომ ეს „ზემოდან“ წამოსული დაკვეთააო. ეს, იცით, რას ჰგავს? ქმარი რომ შეუსწრებს ცოლს სხვა კაცთან და ცოლი რომ ეუბნება: შენ რაც გგონია ეს ის არ არისო. რანაირად არ არის ეს ზეწოლა. ერთ საქმეზე განაჩენი არ დადგა. ხელი დააფარეს დამნაშავეს, მეორე საქმეზე მტკიცებულებები საერთოდ გაანადგურეს, მესამე საქმეზე, აგერ, უკვე 6 დღე გავიდა და არავინ ყურს არ იბერტყავს, რა უნდა ვიფიქრო, გამაგებინეთ!

„ქართულ ოცნებაში“ ვიღაცვიღაცებმა ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ მე გამოვეყვანე მოთმინებიდან, გამეკეთებინა რადიკალური განცხადებები და „ქართული ოცნებისადმი“ პრინციპული პოზიციები დამეფიქსირებინა. ბევრჯერ დავურეკე სამინისტროს ხელმძღვანელობას, არ მინდოდა საკითხის გამწვავება, მაგრამ ყველამ ყველაფერი ფეხებზე დაიკიდა. როგორც ჩანს, ამ სამინისტროშიც არის ჩანერგილი „ნაცმოძრაობის“ ფარული აგენტები და სურთ მე და ჩემნაირი ადამიანები, რომლებიც არ ვართ მტრულად განწყობილი დღევანდელი ხელისუფლების მიმართ, გამოვიდეთ და უარყოფით კონტექსტში დავიწყოთ საუბარი ხელისუფლებაზე. ვფიქრობ, „ქართულ ოცნებაში“ ჩანერგილი არიან ადამიანები, რომლებსაც სურთ ხელისუფლების მიმართ მტრულად განაწყონ ის ადამიანები, რომლებმაც 2012 წლის გამარჯვებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს. როგორც ჩანს, ამ ხელისუფლებაში არიან ძალები, რომლებიც ქმნიან საკმაოდ სოლიდურად დაფინანსებულ საინფორმაციო სააგენტოებს და ინტერნეტ-გამოცემებს, ვითომდა ხელისუფლების მომხრეს, სინამდვილეში ამ სააგენტოებიდან და გამოცემებიდან ხელისუფლების მხარდამჭერს, ვერაფერს გაიგებ. „ქართულ ოცნებას“ მინდა ვუთხრა: ღმერთმა შეგარგოთ სააგენტოები და მედიასაშუალებები, რომლებსაც მსუყედ აფინანსებთ, მაგრამ არც 20 ივნისს, არც გახარიაზე შეტევის დროს არ წამიკითხავს მათგან გახარიას მხარდამჭერი პოზიციები, არც ბიძინა ივანიშვილის სიკეთეებზე ამოუღია ვინმეს ხმა, პირიქით, ვინმე თუ „ქართული ოცნების“ მიმართ დადებითად არის განწყობილი, ცდილობენ გადაამტერონ, გადაკიდონ და მტრად უქციონ „ქართულ ოცნებას“. ახლა ვიღაცას, ალბათ, ჰგონია, რომ მე გავიქცევი და ჩავუჯდები კალთაში „ნაცმოძრაობას“. სულ რომ სასტიკი რეპრესია განახორციელოს ჩემზე „ქართულმა ოცნებამ“, ამას მე არ ვიზამ, ამას არ ვიკადრებ.

8 გვ. →





# ღარიბები რომ ვართ, გავიგეთ...

← 6 გვ.

ზელის საწვავს საერთოდ კატასტროფულ ფასს ადებ და სოფლის მეურნეობის პროდუქცია როგორ არ გაძვირდება, როცა პირდაპირ არის ამ ყველაფერზე მიბმული.

ორგანიზაცია „ეროვნული მოძრაობა-2017“-ის თავმჯდომარის **ელგუჯა ქოჩიაშვილის** განცხადებით, ძალიან აქტუალურია კითხვა, რატომ გარბიან ქვეყნიდან ქართველები და ძალიან ნაკლებად სხვა ეროვნების წარმომადგენლები. „თბილისსა და რუსთავს ბოსტნეულით გარდაბანი, ბოლნისი, მარნეული, ახალქალაქი ამარაგებს, ანუ ძირითადად აზერბაიჯანელები და სომხები. მაგათთვის არაფერი შეცვლილა, სამუშაო ყოველთვის ჰქონდათ და ახლაც აქვთ, ასე რომ, არსად არიან წამსვლელები. ჩემს დროს რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში 9500 ადამიანი მუშაობდა, დღეს 1500 თუ იქნება და იქიდანაც 500 ყარაულია. დანარჩენმა ხალხმა რა ქნას, სად დასაქმდეს. ჯანდაცვის სამინისტროსთან აქციები რომ იმართებოდა, შეიძლება თითქმის 30 წელი ხალხი ლტოლვილობაში გვყავდეს? მთავრობა რომ გქვია, შეუძინე ის ბინები და დაასახლე ეს ხალხი, ისინი ხომ შენი პოტენციური ამომრჩევლები არიან. ვიხდით გადასახადს, ვავსებთ ბიუჯეტს და მერე ვეხვეწებით პენსია გაგვიზარდეო. 45-დან 65 წლამდე ასაკის ადამიანი ან დაასაქმე, ანდა საარსებო მინიმუმი მიეცი, თუ არავითარი პასუხისმგებლობა არ გაგაჩნია ჩემს წინაშე, მაშინ რატომ აგირჩიო?“, აცხადებს რესპოდენტი.

**ელგუჯა ქოჩიაშვილი**: „შეიძლება მკვახედ ვსაუბრობ, მაგრამ მე გულშემატკივრის პოზიციიდან მივმართავ მმართველ პარტიას. „ქართული ოცნების“ კანდიდატმა საპრეზიდენტო არჩევნების ორივე ტური წააგო რუსთავში, დასკვნა არ უნდა გამოიტანო, ხომ უნდა გაგიჩნდეს კითხვა, ასე რატომ მოხდა? რუსთავის რკინიგზის სადგური (სამოქალაქო) ნაფრონტალივით იყო დანგრეული. 2015 წელს რუსთავის მერობაზე კენჭს რომ ვიყრიდი, მისული ვიყავი სადგურში, დამლაგებელმა მკითხა, ისე ათვალიერებთ, მყიდველი ხომ არ ხართო. მე ამ ქალაქში დავიბადე და გავიზარდე, გული რომ შემტკიოდა, იმიტომაც მივედი. აქ გარდა გარდაბნის ე.წ. ელექტრიჩკისა, ბაქო-თბილისის მატარებელი გადის, რამხელა სირცხვილია ჩვენი ქვეყნისთვის, ასეთ გაპარტახებულს რომ ხედავს უცხო ხალხი აქაურობას. იქაურმა თანამშრომლებმა დახმარება მთხოვეს, დენი და წყალი მაინც გაგვიკეთონო. სალაროც ცენტრში იყო გადმოტანილი, იქ გაჩერება არ შეიძლებოდა. რკინიგზის დეპარტამენტში რომ მივედი, მომისმინეს, მიხვდნენ გული შემტკიოდა და შემომთავაზეს, თქვენს არასამთავრობო ორგანიზაციას („საქართველოს მრავალეროვანთა კავშირი“) რამდენიმე წლიანი იჯარით გადმოგცემთ შენობას და თქვენ მიხედეთო. მეორედ რომ მივედი საბუთების გასაფორმებლად, უარი მითხრეს. მთელი წელი უპატრონოდ იყო მიტოვებული, მერე ვიღაცას მისცეს, ოღონდ ვის და რა ფორმით, არ ვიცი, დაიწყეს ვითომ მუშაობა, მაგრამ მხოლოდ შესასვლელი გააკეთეს. მატარებელი რომ ჩერდება, კარი ისეთ სიმაღლეზეა ხალხს უჭირს ასვლა-ჩამოსვლა. კალიასავით უნდა იხტუნაო მაღლა-დაბლა. ეს ხომ ხალხის ფსიქოლოგიაზე ცუდად მოქმედებს და ხელისუფლების მიმართ უარყოფითად განაწყობს, რაც არჩევნების დროს იჩენს ხოლმე თავს“.

„საერთო გაზეთი“ რკინიგზის დეპარტამენტის წარმომადგენლებსაც გაესაუბრა, ასე ვთქვათ, შინაურ საუბარში გაგვიმხილეს, ეგეთი სიტუაცია მარტო რუსთავში კი არა, თითქმის ყველა სამოქალაქო, ანუ სამგზავრო სადგურშია. ეგ ობიექტები ქონების მართვის სამსახურს აქვს გადაცემულიო. თავად რკინიგზის დეპარტამენტი საპარტნიორო ფონდის, ანუ ფრიად „დიდჯამაგირიანთა“ დაქვემდებარებაში. ქონების მართვა ეკონომიკის სამინისტროს ეკუთვნის, რომელსაც ხალხმა სამართლიანად შეარქვა ხალხის ქონების გაყიდვის სამსახური. ეტყობა ეგ მცირე სადგურებიც „გასასუხარებლად“ აქვთ გამზადებული, იმიტომ გადასცეს „მარადმწვანე“ მადამ თურნავას უწყებასო.

**მანანა სუხიშვილი**
599 51 28 24



# „ქართულ ოცნებაში“ არიან ადამიანები, რომლებიც იმაზე მუშაობენ, რომ „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები „ქართულ ოცნებას“ გადაამტერონ

← 7 გვ.

**— ანუ თქვენ ამბობთ, რომ ინტერნეტმედიის ზოგიერთი წარმომადგენელი „ნაცმოძრაობასთან“ შეიძლება იყოს „კუდით“ მიბმული?**

— თქვენ მათ დასახელებას მთხოვთ? რომ არ დავასახელე და ვთქვი, სააგენტოების ხელმძღვანელები დიდძალ თანხებს იღებენ, თბილისში და ბათუმში ბინებს ყიდულობენ-მეთქი, დაიწყო რეკვები სააგენტოებიდან — მე ხომ არ მგულისხმობ და ჩემზე ხომ არ გაქვს ეჭვიო. ქურდს ქუდი ეწვისო, ხომ გაგიგონიათ?! ისეა მაგათი საქმე.

„ქართული ოცნების“ დაუძინებელი მტერი არის თვითონ „ქართული ოცნება“. „ნაცმოძრაობა“ მაგათ ვერაფერს დააკლებდა, შიგნიდან პირდაპირ ვიტყვი: არც „ოცნების“ მხარდამჭერი ვარ, არც ნაცების. „ოცნებამ“ უკვე იმ დონემდე გაუტია, ნაცებს აღარ ჩამოუვარდებიან — ხომ დაინახეთ, გასულ კვირას რა განაცხადეს — ჩვენ შევიფარეთ და გადავარჩინეთ „ნაცმოძრაობა“ და გიგა ბოკერიაო. ეს გიგა ბოკერია იქნება რომ მოუგრიხავს მაგათ კისერს ძალიან მალე.

ამ ხელისუფლების მიზანი დღეს გარეჯის დაცვა და ქვეყნის პატრონობა კი არ არის, არამედ „ნაცმოძრაობაზე“ ზრუნვა და იმ ადამიანების ფეხებზე დაკიდებაა, რომლებმაც თავი გაწირეს და ესენი მოიყვანეს ხელისუფლებაში. თუ ჰგონიათ, რომ ასე დიდხანს გაქაჩავენ, ძალიან ცდებიან. მაგათ ვერ გაუგიათ, როგორც უშიშროების ყოფილი თავის. გამდიდრდა ეს ხალხი, ბატონებო, გამდიდრდა! ყველა კვირას უცხოეთში დადიან, ფეშენებელურ ვილებს ფლობენ ბათუმი-თბილისში და ა.შ. ჩინოვნიკები ხომ გაძღნენ და გასუქდნენ ამ ხელისუფლების პირობებში, გაურკვეველი პოლიტიკური ორიენტაციის მედიის წარმომადგენლებიც არ ჩამოუვარდებიან მათ, ისინიც მშვენივრად ძოვენ ბალახს ნაც-ქოცების მინდორზე.

**— ბატონო ნიკოლოზ, თქვენ არა მხოლოდ პრემიერ-მინისტრის გიორგი გახარიას მტრებზე საუბრობდით სოციალურ ქსელში, არამედ თავდაცვის ახლანდელი მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის მოწინააღმდეგეების დასახელებასაც ჰპირდებოდით საზოგადოებას.**

— ეს არის ის კლანი, რომელიც ჩაბუდებულია ხელისუფლებაში და საინფორმაციო სააგენტოებს, თავიანთი რეკომენდაციებით, აფინანსებინებენ. ლობირებას უკეთებენ პრესცენტრებში ნაცების კადრებს. ეს ადამიანები არიან ნეგატიურად განწყობილი ირაკლი ღარიბაშვილის მიმართ და იბრძვიან მის წინააღმდეგ.

**— რას ერჩიან ირაკლი ღარიბაშვილს?**

— ღარიბაშვილს იმას ერჩიან, რასაც ერჩიან გიორგი გახარიას.



რომ არ ჰყავდეთ ძირის გამომთხრელები.

ქვეყანა ზიანდება და ამაზე შემტკივა გული, თორემ დებილი ხომ არ ხარ, ფულს რომ ატენი სააგენტოს და ეს სააგენტო შენს საწინააღმდეგოდ რომ მუშაობს? არ გამიგია ასეთი არაფერი.

**— ფეისბუკზე თქვენ დაწერეთ: ვიცი, ვინც მფარველობს პრესსამსახურებში „ნაცმოძრაობის“ მხარდამჭერებსო. დაასახელეთ, ვინ მფარველობს მთავრობის პრესსამსახურებში ნაცების გულშემატკივრებს?**

— ძალიან კარგად იცით, ვინც მფარველობს. ზოგჯერ გვარების და სახელების ხსენებაც, ჩემი მხრიდან, მათთვის უფრო მომგებიანია. ამ ადამიანების დასახელებისგან თავს შევიკავებ იმიტომ კი არა, რომ რაიმეს მეშინია, არა, ყველამ ძალინ კარგად იცის, ვისზეა საუბარი და ნურავინ ნუ იდებილებს თავს.

**— გვითხარით, პირდაპირ, ვისზე ლაპარაკობთ.**

— **ძალიან კარგად იცის ყველამ, ვინცაა პიროვნება, რომელიც ნაცებს ლობირებს, „ქართულ ოცნებაში“, მაგრამ რადგან პირდაპირი მტკიცებულებები არ გამაჩნია, ამიტომ, ჯერჯერობით, ვერ დავასახელებ მას.**

პირადად არ მინახავს, ვის გადაურიცხა თანხა, რომელ საინფორმაციო სააგენტოს ან მედიასაშუალებას, მაგრამ ირიბი მტკიცებულებების საფუძველზე ვიცი ეს, ისევე, როგორცსავარაუდოდ ვიცით, საააკაშვილმა მოკლა ჟვანია, საააკაშვილმა მოკლა გურამ შარაძე, მაგრამ რადგან უტყუარი მტკიცებულებები არ გაგვაჩნია, ვერ ვადებთ ხელს დამნაშავეს. ასეა ამ შემთხვევაშიც. არსებობს შესაბამისი სტრუქტურები, რომლებმაც უნდა გამოიძიონ საქმე. ეს მაგათი საქმეა, ჩვენ ვერაფერს ვიზამთ.



ნამშრომელი არ არსებობს, ასევე არ არსებობს ყოფილი ნაციონალი! **რაც უნდა ფულით გამოტენონ, ნაცი ნაცად რჩება. კარგად დავინახეთ ეს 20 ივნისის მოვლენების დროსაც — სამთავრობო პრესცენტრების თანამშრომლები ღიად და საჯაროდ უჭერდნენ მხარს ნაციონალებს. თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურის წარმომადგენელმა: მხარს ვუჭერ „რუსთავი-2“-სო. პრეზიდენტის პრესსამსახურის ხელმძღვანელმა მოისწრაფიშვილმა — სოლიდარობა „რუსთავი-2“-სო, ვინ შეარჩია ეს ხალხი.**

მე არ ვამბობ, რომ პრესა უნდა იყოს მიკერძოებული და მხარი უნდა დაუჭიროს, მაგალითად, ხელისუფლებას, მე ვამბობ, რომ ობიექტური უნდა იყვნენ. მაგალითად, როდესაც გიორგი გახარიას მიმართ მიმდინარეობდა აქციები და იყო მუდმივი ზეწოლა მის მიმართ, არც ერთი სააგენტოდან არ გვინახავს ობიექტური პოზიცია, არავის არ უთქვამს მაშინ, რომ, მაგალითად, გახარია არაფერ შუაშია 20 ივნისის მოვლენებთანო, ანუ იღებენ ხელფასებს და დაფინანსებას და ობიექტური ინფორმაციის მიწოდება არ უნდათ მოსახლეობისთვის

ვინც არ არის ნაციონალი და მათ მიმართ სიმპათიით განწყობილი, ყველას ებრძვიან. ღარიბაშვილი და გახარია სწორედ ის ადამიანები არიან, რომლებიც ვერ იტანენ ნაციონალებს, ყველა დანარჩენი ამ ხელისუფლებაში, ბოდიში და, ერთ ადგილს აქიცინებს, ზოგი სოროსის ლეკვია, ზოგი — ჩიჩილაკებიანი ვითომ პოლიტიკოსი...

თანავუგრძნობ ბიძინა ივანიშვილს, ყველა გველი და ნაძირალა მის ირგვლივ ტრიალებს.

რა უბედურება გვჭირს, ვერ გავიგე, ვინც „ნაცმოძრაობის“ მიმართ უარყოფითად იყო განწყობილი, ან „ჩარეცხეს“, ან გარიყეს, ან ებრძვიან მათ. ღარიბაშვილიც მაგიტომ წავიდა თავის დროზე და გიორგი გახარიასაც ამის გამო ებრძოდნენ სასტიკად. ხელისუფლების ერთი ის წარმომადგენელი გამახსენეთ, რომელმაც გიორგი გახარიას დაუჭირა მხარი 20 ივნისის მოვლენების დროს, ან ღარიბაშვილს დაუდგა გვერდით? — ვინც ნაციონალების მიმართ განწყობილია მტრულად, ყველას წინააღმდეგ მიმდინარეობს ბრძოლა, მათ შორის, ჩემზეც და ყველა პატრიოტ ადამიანზე. ასე ქვეყანა რომ არ აშენდება, ყველამ უნდა ვიცოდეთ.

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

# რატომ არავინ თხოვს პასუხს იმ ადამიანებს, ვინც ტრამვაი-ტროლეიბუსების ტრანსპორტი გაუყიდა თბილისს და ქალაქი უმძიმეს მდგომარეობაში ჩააგდო?

**რამდენიმე დღის წინ თბილისში ISIZU-ს მარკის, დიზელის ძრავზე მომუშავე, ევრო 6 სტანდარტის 220 ავტობუსი შემოვიდა. მერიის ინფორმაციით, ძველი ავტობუსების ახლით ჩანაცვლება უახლოეს დღეებში დაიწყება და წლის ბოლომდე გასტანს, თუმცა ტრანსპორტის დარგის სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ მხოლოდ ახალი ავტობუსებით საზოგადოებრივი ტრანსპორტის დეფიციტის შევსება შეუძლებელია.**

**1975 წლის გენერალური გეგმის თანახმად, თბილისს 2000 წლისთვის მეტროს 38 სადგური უნდა ჰქონოდა, დღევანდელი მონაცემებით კი მხოლოდ 23 მოქმედებს, რის გამოც მეტროს ქსელი ქალაქს მხოლოდ ნაწილობრივ მოიცავს. აღსანიშნავია, რომ სატრანსპორტო სფეროში მიმდინარე რეფორმების პარალელურად, თითქმის განახევრდა ქალაქში მოძრავი სამარშრუტო ტაქსების რაოდენობა და ბევრი ხაზი მთლიანად გაუქმდა. შესაბამისად, თბილისის საზოგადოებრივი ტრანსპორტი მგზავრთა მოჭარბებული ნაკადების სხვადასხვა მიმართულებით სწრაფ და კომფორტულ გადაადგილებას ვერ უზრუნველყოფს.**

**ქალაქში აღარაა ეკოლოგიურად სუფთა ელეტროქტრანსპორტი — ტრამვაი და ტროლეიბუსი, რომლის აღდგენაზეც ბოლო დროს თბილისის მერია ძალიან ხშირად საუბრობს.**

**შეგახსენებთ, რომ ტრამვაის ქსელის პერმანენტული შეკვეცა 1989 წელს დაიწყო. 1990 წლის იანვარში გლდანის მასივში მოქმედი #8 ტრამვაი, რომელიც მეტრო დიდუბიდან გლდანის 7–8 მიკროებამდე მოძრაობდა გაუქმდა. ლიანდაგები აიყარა სარაჯიშვილის მეტროდან ახმეტელის მეტრომდე. 1994–1996 წლებში თბილისის ზღვაზე საკონტაქტო სადენი მოიპარეს და ტრამვაიმ მოძრაობა შეწყვიტა. 2000–2001 წლებში გაუქმდა გადასასვლელი ხიდიდან ლოტკინისკენ მიმავალი 2 და 6 ნომერი ტრამვაი. 2004 წლის 7 ივლისს არსებობა შეწყვიტა ისნის ტრამვაის დეპომ და მასზე მიმაგრებულმა ერთადერთმა, #7 მარშრუტმა. 2006 წლის 4 დეკემბერს ტრამვაის უკანასკნელი ხაზი და ქალქში დარჩენილი ტროლეიბუსის ხაზებიც ერთიანად გაუქმდა.**

**„თბილისში იყო ტრამვაის ხაზები და იცით, წლების განმავლობაში რაც მოხდა, სამწუხაროდ, აიღეს. ვნახოთ, რამდენად შევძლებთ ასეთი პროექტების გაკეთებას. ეს საკმაოდ დიდ თანხებთან არის დაკავშირებული. როდესაც იქნება დათვლილი და გვეცოდინება სავარაუდო ღირებულება, შემდეგ მივიღებთ გადაწყვეტილებას“ -ამის შესახებ თბილისის მერმა 10 ოქტომბერს განაცხადა. როგორც კახა კალაძემ აღნიშნა, მერია ტრანსპორტის საკითხზე რამდენიმე მიმართულებით მუშაობს, მათ შორის მეტროს ახალი სადგურებისა და საბაგირო ხაზებთან დაკავშირებითაც.**

**„ტაქსების გათეთრების“ მოსალოდნელ შედეგებზე, ეკოლოგიურად სუფთა ტრამვაის დაბრუნებაზე და მუნიციპალური ტრანსპორტის პრობლემებზე „საერთო გაზეთს“ მძღოლთა ასოციაცია „ტასატის“ თავმჯდომარე ნიკოლოზ კაჭკაჭური ესაუბრა:**





— ყველა ვხედვთ, რომ ტაქსებისთვის ახალი რეგულაციების დაწესებით თბილისში გადაადგილების პრობლემებმა იმატა, თუმცა ეს დროებითი პრობლემებია და საბოლოოდ, ამ სფეროს მოწესრიგებით დასრულდება. მე სხვა პრობლემა უფრო მაღელვებს.. დიდი ხანია ვამბობ, რომ ქალაქში, სადაც ტრამვაი და ტროლეიბუსი აღარ არსებობს, სამარშრუტო ტაქსების შემცირება და გაუქმება და მხოლოდ ავტობუსის იმედად დარჩენა არასწორია. ევროპის ქვეყნებში ტრამვაი და ტროლეიბუსი ყველგან დადის და ჩვენ რა გვეტაკა, რომ გავაუქმეთ და გავანადგურეთ? ტრანსპორტის სხვა საშუალებებთან შედარებით, ტრამვაის უპირატესობა გახლავთ მაღალი გამტარუნარიანობა, ეკოლოგიურობა, ეკონომიურობა, უსაფრთხოება, მოხერხებულობა შეზღუდული შესაძლებლობების პირთათვის. ტრამვაის დიდი ტევადობის მოძრავი შემადგენლობის საშუალებით შეუძლია მეტი მგზავრის გადაყვანა. ავტომობილთან შედარებით, ის გზის ფართს 8-ჯერ უფრო ეფექტურად იყენებს. განცალკევებული ზოლის მეშვეობით ტრამვაის შეუძლია, გვერდი აუაროს ავტომობილთა საცობებს. ტრამვაი უფრო ეკონომიური ტრანსპორტია. ელექტრო ძრავის მარგი ქმედების კოეფიციენტი 2,3–ჯერ აღემატება დიზელის ძრავისას, ხოლო სარელსო ტრანსპორტის წინაღობა გზის მიმართ გაცილებით ნაკლებია საბურავებიანი ტრანსპორტის წინაღობაზე. ტრამვაი მკაცრადაა დაფიქსირებული სავალ ნაწილზე, ამიტომ იგი ყველაზე უსაფრთხო ტრანსპორტია და მას შეუძლია მაქსიმალური სიჩქარით იმოძრაოს ხიდებზე, გვირაბებსა და ვიწრო გასასვლელებში. აი ასეთი ტრანსპორტი დავკარგეთ.

ალბათ გახსოვთ, სააკაშვლის ხელისუფლების დროს როგორ ვცდილობდით ტრამვაი-ტროლეიბუსების გადარჩენას. ტრამვაის პარკიდან მერიამდე აქციამსვლელობა მოვაწყეთ, ვის არ მივმართეთ, რომ ქალაქისთვის ეკოლოგიურად სუფთა ტრანსპორტი შეგვენარჩუნებინა, მაგრამ სახელმწიფო ჩინოვნიკებმა ამ საქმეში დიდი ფულის შოვნის გზა დაინახა და უკან არ დაიხიეს. ტრამვაი-ტროლეიბუსის პარკების ტერიტორიები აითვისეს, სახლები ააშენეს და ხალხისთვის წართმეულით მილიონები იშოვეს.

**— ქალაქის მერია თბილისში ტრამვაის დაბრუნებას აპირებს. კახა კალაძის თქმით, ამჟამად პროექტის სავარაუდო ღირებულებას ადგენენ.**

— დიახ, მერია საუბრობს ტრამვაი-ტროლეიბუსის პარკის აღდგენაზე და ერთი სიტყვით არავინ ამბობს, რომ ამის გაუქმება იყო მავნებლობა, რასაც ქალაქში ჰაერის დაბინძურება და მძიმე დაავადებების გახშირება მოჰყვა. რატომ არავინ მოთხოვა ამ ადამიანებს ხალხის ქონების განიავებისთვის პასუხი? ეკოლოგიურად სუფთა ტრანსპორტი მოსპეს და მეორადი ჰოლანდიური ავტობუსები შემოიყვანეს. ამ საქმეში ვიღაცამ ძალიან დიდი ფული გააკეთა, მაგრამ რატომღაც, დღევანდელი მთავრობა არ დაინტერესდა ხალხის ქონების განიავებით.



რაც შეეხება ტრამვაის აღდგენას, პირადად მე ასეთი ზღაპრების არ მჯერა. ტრამვაის მუშაობისთვის ყოველ 200–300 მეტრში წევის ქვესადგურები უნდა დადგან, რომ დენი მიაწოდოს და ამას უზარმაზარი ფული უნდა. ფული კიდეც რომ მოიძიონ, მანქანების გზა აღარ გვაქვს, ამხელა საცობებია და ტრამვაი სად უნდა გაატარონ? ყველგან სახლები ააშენეს და პარკირებები გააკეთეს ქალაქში მანქანის გასავლელი გზა არაა. ნახეთ აეროპორტის სამზოლიანი გზა როგორ შეავიწროვეს. რა ჯანდაბად მინდა გზის შუაში გაზონები და ბარდიურები, მანქანები ვერ ეტევა და კიდევ გზას ავიწროვებ კაცო? რომელ ტრამვაზეა ლაპარაკი ასეთ სიტუაციაში? დამიდონ ხელი, სად უნდა გაატარონ ტრამვაი? მოსკოვის პროსპექტზე პირდაპირ ტრამვაის ხაზზე პოლიციის შენობა ჩადგეს და ტრამვაიმ პოლიციის შენობას წრეები უნდა ურტყას თუ როგორაა საქმე?



**— იმედია, მიწისზედა მეტროს პროექტზეც იგივე აზრის არ ხართ..**

— თბილისის მეტროპოლიტენი დაუსრულებელი პროექტია. ისეთ მჭიდროდ დასახლებულ უბნებში, როგორიცაა ვაკე, დიღომი, დიდი დიღომი და ვაზისუბანი მეტროს სადგურები საერთოდ არ არის. საბჭოთა პერიოდში შემუშავებული გეგმის მიხედვით, თბილისში 40-ზე მეტი სადგური უნდა აეგოთ, ანუ ორჯერ მეტი, ვიდრე დღესაა. იგეგმებოდა მეტროს მესამე ხაზის გაყვანა დიდი დიღმიდან ვაზისუბნამდე, მაგრამ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ყველაფერი გაჩერდა. ახალი სადგურების მშენებლობა კი არა, როგორც ვიცი, ის ტერიტორიაც გაყიდეს, რომელზეც მეტროს მესამე ხაზს უნდა გაევლო. 30 წელია, ვაჟა ფშაველაზე ორი, თითქმის დასრულებული სადგური ვერ დაასრულეს მარტო მოპირკეტება რომ უნდა და ახალ სადგურს გათხრიან? ვაზისუბანში ტექნიკური გვირაბები გაყვანილია და საესკალატორო დარბაზი დასრულებული, ელიაზეც ყველაფერი დასრულებულია, მოპირკეთების გარდა, არაფერი უნდა და ამას ვერ ასრულებენ. ამიტომ არ მჯერა ტრამვაის აღდგენის და მეტროს ახალი ხაზების გაყვანის.

**— ასე უიმედოდაც არ უნდა იყოს საქმე.. მეტრის სადგური „სახელმწიფო უნივერსიტეტის“ 1985 წელს დაწყებული მშენებლობა ხომ დასრულდა?**

— 30 და 35 წლის შემდეგ კი ბატონო, შეიძლება კიდევ ერთი სადგური დასრულდეს, მაგრამ ახლა მეეჭვება.

ნელი თორდია
571 35 36 88

# მამუკა ხაზარაძე – თავხედი, თაღლითი და პროვოკატორი, რომელიც საკუთარ ქვეყანას უბრძანებს უცხოელებს ჩამოუაროს და „მისი“ პორტის ასაშენებელი ფული ჩამოუტანოს!

**„ანაკლია პორტის“** მშენებლობაში შერცხვენილი ხაზარაძე პოლიტიკაში შემოძრომით ცდილობს ანაკლიაში განცდილი მარცხი გადაფაროს, უფრო მეტიც, — ამ მარცხის მთელი სიმძიმე ქვეყნის მთავრობას გადააბაროს!

წავიკითხე ბატონი ხაზარაძის „მუქარა-აღსარება“ და კიდევ ერთხელ დავრწმუნდი მის უკიდეგანო თავხედობაში, რომელიც, ადრე ვთქვი, — მხოლოდ მისი უშიშობის შედეგი არ უნდა იყოს!

კიდევ ერთხელ ვიმეორებ — მის უკან დგას „გარეშე ძალა“, რომელიც აქეზებს მას „მიდი მიაწექიო!“

საქართველოს მთავრობა კი უძლური ჩანს დაუპირისპირდეს მას, მიიღოს რადიკალური გადაწყვეტილება და აღკვეთოს „ანაკლია პორტთან“ დაკავშირებული თაღლითების ავანტიურა.

ვიცი, გაგიჩნდებათ კითხვა:

— ვინ არის ის „გარეშე ძალა“ ხაზარაძეს რომ აქეზებს?

მე მხოლოდ ერთს ვიტყვი დაბეჯითებით:

— ეს „ძალა“ არ არის ქართული!



დანარჩენი, ვეცადოთ ერთად გავარკვიოთ, — ევროპულია იგი, ამერიკული თუ რუსული?!

თავხედობის გაუგონარი შემთხვევაა, რასაც ხაზარაძე ამბობს:

**„ანაკლიის პორტის პროექტის გაგრძელების ერთ-ერთი გამოსავალია, მთავრობის რომელიმე მაღალჩინოსანმა აიღოს მანდატი, დაიწეროს სერიოზული წერილი, გადაფრინდეს ლონდონში, იმ კომპანიასთან, რომელიც ჩვენ შემოვიყვანეთ, ასევე ნიუ იორკში, ჰოლანდიაში, დაარწმუნოს ეს კომპანიები, რომ სახელმწიფო მზად არის და ელოდება მათ ანაკლიაში, — ამის შესახებ საზოგადოებრივი მოძრაობა „ლელოს“ დამფუძნებელმა, მამუკა ხაზარაძემ განაცხადა.**

**მისი თქმით, ეს იქნება მკაფიო პოზიცია სახელმწიფოს მხრიდან, რომ პროექტი გაგრძელდეს.**

გადასარევია პირდაპირ!

მკითხველს კიდევ ერთხელ უნდა შევახსენო, რომ ჩვენ ვსაუბრობთ კერძო კომპანიის მიერ მოგებულ ტენდერზე, რომელიც სახელმწიფომ გამოაცხადა და ტენდერში მონაწილეობის მიღების მსურველს, საერთაშორისო სტანდარტით მიღებული მოთხოვნები დაუწესა.

კონკრეტულ შემთხვევაში, **„ანაკლიის პორტთან დაკავშირებით ინტერესების გამოხატვა“**-ში მონაწილეს უნდა წარმოედგინა:

**1. 100 მილიონი და მეტი ტვირთბრუნვის დამადასტურებელი პროგრამა-წინა საპროექტო მოსაზრება.**

**2. პორტის პროექტი უნდა იკავებდეს ზღვის სანაპირო ზოლის მაქსიმალურად მცირე ნაწილს.**

**3. უკიდურესი აუცილებლობის გარდა, არ უნდა ეხებოდეს დასახლებულ ტერიტორიას.**

**4. წარმოდგენილი პროექტი უნდა იყოს მომგებიანი და ტექნიკურად შესრულებადი.**

**5. ტენდერში მონაწილე კომპანია ვალდებულია წარმოადგინოს ინვესტორები, პროექტის დაფინანსების დამადასტურებული საბანკო საბუთებით.**

შეგნებულად არაფერს ვამბობ პირველ ოთხ პუნქტზე, რადგან სანამ მე-5 პუნქტი არ მოგვარდება ზედმეტია მათზე საუბარი. თუმცა, რაც აქამდე გაკეთდა ანაკლიაში, შორს დგას ყოველგვარი სტანდარტისა და ტენდერის მოთხოვნებისგან.

დაუკვირდით ტენდერის მოთხოვნების მე-5 პუნქტს, ის, რასაც ხაზარაძე და მისი ე.წ. „ანაკლიიის განვითარების კონსორციუმი“ თითქმის ოთხი წელია დაეძებს, ტენდერში მონაწილეობის სურვილის გამოხატვისთანავე უნდა ჰქონოდა მოგვარებული.

ყოველივე ამის შემდეგ, ხაზარაძეს ჰყოფნის თავხედობა, უბრძანოს საქართველოს მთავრობას: **„რომელიმე მაღალჩინოსანმა აიღოს მანდატი, დაიწეროს სერიოზული წერილი, გადაფრინდეს ლონდონში, იმ კომპანიასთან, რომელიც ჩვენ შემოვიყვანეთ, ასევე ნიუ იორკში, ჰოლანდიაში, დაარწმუნოს ეს კომპანიები...“** და ე.წ. „საზოგადოებრივი მოძრაობა „ლელოს“ დამფუძნებელს“ ჩამოუტანოს პორტის ასაშენებელი ფული!




საინტერესო და ცალკე საკითხია **„საზოგადოებრივი მოძრაობა „ლელო“** ქვემოთ, საგანგებოდ შევეხები მას.

181 მოწონება აქვს ამ წუთისთვის ხაზარაძის „მუქარა-აღსარებას“ სადაც, მან, კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ათასწლეულის ტენდერში გამარჯვება, ყოველგვარი დამსახურების გარეშე მიანიჭეს.

ჩემი საქმე არ არის ვინ, ვის, რას მოუწონებს, მაგრამ ნათლად ვხედავ, საქმეში ჩაუხედავი ხალხი გაასულელეს!

არაფერს ვამბობ მთავრობაზე, რომელიც ძალად ისულელებს თავს.

ამიტომ, აუცილებლად მიმაჩნია კიდევ ერთხელ შევახსენო მკითხველს რასთან გვაქვს საქმე და რატომ გახდა „ანაკლია პორტი“ ყველა უვიცის და უსაქმურის საჭორაო, როგორ მოხვდა იგი თაღლითების და თავხედების ხელში!

მიკერძოებაში რომ არ ჩამითვალონ, გადავწყვიტე არქივს გადავხედო, ვინ როგორ აფასებდა **„ანაკლია პორტის“** ტენდერის ფინიშზე შექმნილ მდგომარეობას.

მაგალითისთვის მკითხველს ვთავაზობ **„სააგენტო GBC-ს“** მიერ 2016 წლის 4 თებერვალს (ტენდერში გამარჯვებულის გამოცხადების წინა დღეს) გამოქვეყნებულ, უაღრესად მნიშვნელოვან ინფორმაციას: (იხ. ლინკი: **https://commersant.ge/ge/post/anakliis-portis-tendershi-mxolod-erti-kompania-darcha) ანაკლიის პორტის ტენდერში მხოლოდ ერთი კომპანია დარჩა. persongbc.ge access_time 2016–02–04 15:01:15**

„ანაკლიის პორტის მშენებლობაზე საინვესტიციო შეთავაზება საერთაშორისო სტანდარტებს არ შეესაბამება, ამიტომ მთავრობა ვერ აცხადებს ინტერესთა გამოხატვის შედეგებს“, — განუცხადა სააგენტო GBC-ს ბიზნესმენმა თემურ ქარჩავამ, რომელიც ტენდერში ჩინურ და ამერიკულ ბიზნესჯგუფებთან ერთად მონაწილეობდა და ინვესტორთა გადაწყვეტილებით, ტენდერს ეთიშება.

ის ამ პირობებით ანაკლიის პორტის მშენებლობას ეჭვქვეშ აყენებს. ქარჩავას მიაჩნია, რომ ეს ინტერესთა გამოხატვა უნდა დაიხუროს და ახალი გამოცხადდეს, განახლდეს მთავრობასთან მოლაპარაკებები, რადგანაც არსებული რეალურ შედეგამდე ვერ მიგვიყვანს.

ამასთან, ქარჩავამ განაცხადა, რომ **წარმოდგენილი ინვესტორთა ჯგუფი, სათანადო პირობებში, პორტის მშენებლობის დასაწყებად მზად იყო. პირველი ფაზა ამ წლის ივლისში დაიწყებოდა და 3 წელში დასრულდებოდა. ამ ფაზის ფარგლებში აშენდებოდა სამი ტერმინალი — მშრალი და თხევადი ტვირთებისთვის.**

**„ამის ფინანსური უზრუნველყოფა და სრულყოფილი პროექტიც გაგვაჩნია, ჩინეთის მთავრობასთან შეთანხმებული“,** — ამბობს ბიზნესმენი და აღნიშნავს, რომ ინვესტორთა მხოლოდ ამ შემადგენლობით უჭერს მხარს ჩინეთის მთავრობა ანაკლიის პროექტის განხორციელებას და სახელმწიფო პროგრამაშიც სვამს ამ პროექტს, რაც ერთიანი, რეგიონალური, ინფრასტრუქტურული, 10 მილიარდიანი პროექტის ნაწილი იქნებოდა.

პროექტი ითვალისწინებს ჩინეთ — საქართველო — ევროპას დამაკავშირებელი სახმელეთო-საზღვაო ერთიანი ინფრასტრუქტურული ჯაჭვის მოწყობას.

**ქარჩავას მთავრობის მიერ ამ ტენდერისთვის მოწვეული კონსულტანტების კომპეტენციაშიც ეჭვი ეპარება.**

შეგახსენებთ, თემურ ქარჩავას ჯგუფი — **ANAKLIA PORT AND INDUSTRIAL ECO PARK**-ი და მის პარტნიორებია.

ოთხშაბათს, ტენდერში მონაწილე მეორე ჯგუფის წევრმა, თიბისის დამფუძნებელმა მამუკა ხაზარაძემ GBC-ს განუცხადა, რომ ანაკლიის პორტის სრულყოფილი პროექტი, ყველა მახასიათებლით, მხოლოდ თიბისი ჯგუფს და მის პარტნიორებს **(ANAKLIA DEVELOPMENT CONSORTIUM)** აქვს წარდგენილი.



**„დაველოდოთ გამოცხადებას, მაგრამ ჩვენ გვაქვს ყველა პირობა, ფინანსურიდან ტექნიკურით დამთავრებული, რომ ანაკლიის პროექტი იყოს ყველაზე წარმატებული და სტრატეგიული მნიშვნელობის, აზიის და ევროპის დამაკავშირებელი კარიბჭის ფუნქციით“**, — განაცხადა თიბისი ჯგუფის დამფუძნებელმა.“

სამწუხაროდ, ბატონი ქარჩავას მიერ გაკეთებული ანალიზი სიტყვასიტყვით აცხადდა!

არადა, ბატონი ქარჩავასთვის რომ მოესმინა საქართველოს მაშინდელ მთავრობას:

**„წარმოდგენილი ინვესტორთა ჯგუფი, სათანადო პირობებში, პორტის მშენებლობის დასაწყებად მზად იყო. პირველი ფაზა ამ წლის (2016წ.დ.ქ.) ივლისში დაიწყებოდა და 3 წელში დასრულდებოდა. ამ ფაზის ფარგლებში აშენდებოდა სამი ტერმინალი — მშრალი და თხევადი ტვირთებისთვის.“**

„ანაკლია პორტი“ დღეს მოქმედი იქნებოდა!

იქვე, **„სააგენტო GBC-ს“** ინფორმაციაში ვკითხულობთ:

**„ქარჩავას მთავრობის მიერ ამ ტენდერისთვის მოწვეული კონსულტანტების კომპეტენციაშიც ეჭვი ეპარება.“**

ჩემი ჟურნალისტური გამოძიებისას არაერთგზის მოვუწოდე საქართველოს მთავრობას, შეესწავლა, ქვეყნის უმნიშვნელოვანესი პროექტის ტენდერისთვის მოწვეული კონსულტანტის, **გერმანული, ძვირადღირებული (სამი მილიონი ევრო გადაუხადა საქართველოს მთავრობამ ამ სამსახურისთვის) კომპანიის ნამუშევარის ხარისხი**. თუმცა, რა შესწავლა სჭირდება მას, როცა მათ მიერ შერჩეულმა კონსორციუმმა, ტენდერში გამარჯვებისთვის დადგენილი, ვერცერთი პირობის, შესრულება ვერ შეძლო, რის გამოც ფაქტიურად ჩაიშალა „ანაკლია პორტის“ აშენების პერსპექტივა!

სამწუხაროდ, გარდა ზემოთნახსენები პრობლემებისა, ბოლო დროს თავი იჩინა ე.წ. „ჩვენი ქვეყნის უპირველესი სტრატეგიული პარტნიორების“ მიერ გაკეთებულმა არაორაზროვანმა განცხადებებმა, რომ „ანაკლია პორტი“ მათთვის ეკონომიკურის გარდა სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობისაა და გამომდინარე აქედან ამ პროექტში რუსებისა და ჩინელების მონაწილეობა არ უნდა განიხილებოდეს!

უფრო რბილად და შედარებით დიპლომატიურად ამ საკითხზე აშშ-ს ელჩის მოვალეობის შემსრულებელი ქალბატონი ელიზაბეტ რუდი საუბრობს:

**„ანაკლიის პორტი აძლიერებს საქართველოს, როგორც სავაჭრო-სატრანსპორტო ჰაბის პოტენციალის გამოყენებას. გვჯერა, რომ ეს პროექტი უნდა შესრულდეს ამერიკული ინვესტიციით, რადგან მას შეუძლია იყოს ეკონომიკის სფეროში საქართველოსა და აშშ-ს შორის ძალიან ძლიერი სტრატეგიული პარტნიორობის მნიშვნელოვანი ნაწილი”.**

სასიამოვნოდ მოსასმენია, მაგრამ, აქაც, ფაქტებს ვერ გავექცევით:

**„ანაკლია პორტმა“** მაშინ დაკარგა თავისი უნიკალური **„სავაჭრო-სატრანსპორტო ჰაბის პოტენციალი“**, როცა აშშ-მა განაცხადა, — **ამ პროექტში გამორიცხულია, როგორც რუსეთის, ასევე ჩინეთის მონაწილეობაო!**

— რუსეთი გასაგებია!

მაგრამ, როგორ უნდა ავუხსნათ საქართველოს მოსახლეობას **„ახალი აბრეშუმის გზის“ უმნიშვნელოვანესი ნაწილის (2019 წლამდე ასე იყო ყველგან ნახსენები) „ანაკლია პორტის“ პროექტიდან ჩინელების (მსოფლიოში ცნობილი, სახელმწიფო გიგანტი „ფაუერ ჩაინა“) გამორიცხვა, რომლებიც საბანკო და სახელმწიფო ინსტიტუტების წერილობითი დასაბუთებით „ანაკლია პორტის“ დაფინანსების, აშენების და მისი წარმატებული მუშაობის გარანტიას იძლეოდნენ?!**

აშშ, რომელსაც დღეღამეში ორი ჩემოდანი ტვირთი არ ექნება პორტის არცერთ მხარეს გასაგზავნი, რატომ და ვისთვის აშენებს მას?

**სხვა საქმეა აშშ-ის სამხედრო საზღვაო ბაზის მშენებლობა, რომელიც, სამწუხაროდ (იქნებ საბედნიეროდ?), იმდენად „გაბაზრდა“ ნაკლებად მოსალოდნელია, ღიად და დაუფარავად „საქართველოს უპირველესმა პარტნიორმა“ მასში ფული ჩადოს!**

თუ ეს ასეა, ბუნებრივია, სხვა გზა უნდა მოიძიოს აშშ-მა ბოლო ვარიანტის განსახორციელებლად!

დაფიქრდით, ამიტომაც ხომ არ ამყოფებს გაუგონარი წნეხის ქვეშ ე.წ. **„ანაკლიის განვითარების კონსორციუმი“** საქართველოს მთავრობას?

ცალსახად ცხადია, — ე.წ. **„ანაკლიის განვითარების კონსორციუმი“ ამას მარტო ვერ შეიძლებდა და ვერ გაუბედავდა ქვეყნის მთავრობას, პროექტის გასაგრძელებლად მოეთხოვა საბანკო და ტვირთების გარანტიები, რაც მას ტენდერში მონაწილეობის სურვილისთანავე უნდა წარედგინა სატენდერო კომისიისთვის!!**

**- ვინ დგას მის უკან, ვინ აგულიანებს მას?**

**- გამორიცხულია, ეს რუსეთი ან ჩინეთი იყოს!**

**- მაშ, ვინ დარჩა?**

მე და თქვენ არ ვიცით ჩემო მკითხველო. ჭორაობას ჩვენ ვერ ვიკადრებთ!

ერთადერთი გზა გვრჩება, საქართველოში აშშ-ის ელჩის მოვალეობის შემსრულებელს, ქალბატონ ელიზაბეტ რუდს ვკითხოთ:

**ვისი ზურგით ატერორებს საქართველოს მთავრობას ე.წ. „ანაკლიის განვითარების კონსორციუმი“ რომელმაც (სამი წელი მიილია „ანაკლია პორტის“ მშენებლობის საერთაშორისო ტენდერის მოგებიდან), დღემდე ტენდერით დადგენილი ვერცერთი პირობა ვერ შეასრულა, არცერთი თეთრი ჯარიმა არ გადაუხდია სახელმწიფოსთან დადებული ხელშეკრულების პირგასამტეხლო და რომ იტყვიან, იმდენად უტიფრად იქცევა — კედელთან აყენებს საქართველოს მთავრობას: ფული მოიტა, თორემ გიჩივლებო!**

იმედი ვიქონიოთ, საქართველოში აშშ-ის ახალი ელჩი მისი წინამორბედების მსგავსად, მრუდ პასუხს არ გაგვცემს და სიმართლეს გვეტყვის!

თუ რა მნიშვნელობა აქვს ჩინური გიგანტი სახელმწიფო კომპანია **„პაუერჩაინა“**-ს ყოფნას **„ანაკლია პორტი“**-ს პროექტში, გავეცნოთ 2014 წელს ლიხტენშტეინის დედაქალაქ ვადუცში **„ანაკლია პორტი“**-ს მშენებლობის პერსპექტივებზე საუბრისას, საბანკო ექსპერტთა მიერ გაკეთებულ დასკვნას, რომელიც კონსორციუმ **„ანაკლია პორტი და ეკო პარკის“** პროექტის განხილვას მოჰყვა:

**„— ბატონებო, ათი წლის წინ, ევროპაში, ვინმეს რომ შავ ზღვაზე, ანაკლიაში (საქართველო) მეგაპორტის აშენების საკითხი გამოეტანა სადისკუსიოდ, მას სიბრალულით შევხედავდი თ. უნდა მოგახსენოთ, მსგავსი პროექტების მომზადებას წლები სჭირდება. ყველასათვის ცნობილია, რომ დიდი პროექტის განხორციელება კი არ არის პრობლემა, არც მისი დაფინანსების წყაროების მოპოვებაა რთული საქმე!**

**— რთული და ძნელად მისაღწევი, პროექტის დასრულების შემდგომ მისი მუშაობაა. ამ შემთხვევაში, უნიკალური ფინანსური და ლოჯისტიკური მოდელია ერთმანეთთან მორგებული, სადაც ინვესტორი, დამთავრებული პროექტის მომხმარებელი და ხანგრძლივი ფუნქციონირების გარანტი ხდება.**

**— ეს გახლავთ ჩინეთის სახელმწიფო!**

**— არ დაგვავიწყდეს, რომ, ევროპაში გაყიდული პროდუქციის ნახევარზე მეტი ჩინეთშია წარმოებული და მისი მომხმარებლამდე სწრაფად მიტანა, უზარმაზარი მოგების გარანტიაა. ამ მხრივ, „ანაკლია პორტი“ და „ახალი აბრეშუმის გზა“ უნიკალური შეთავაზებაა, როგორც ჩინელი (არა მარტო ჩინელი!) მეწარმეებისთვის, ასევე ევროპელი მომხმარებლისთვის!**

როგორც იტყვიან, — აქ კომენტარი ზედმეტია!

იქვე ისიც ითქვა:

**„ცნობილია, რომ მსხვილი ინვესტიციები, უმეტეს შემთხვევაში, არა მარტო ეკონომიკური კეთილდღეობის, არამედ მშვიდობის გარანტიაა მასპინძელი ქვეყნისთვის. იგი საქართველოს მაგალითზე შემდეგნაირად შეიძლება წარმოვიდგინოთ: ჩინეთი ერთადერთი ქვეყანაა დედამიწის ზურგზე, რომელსაც ვერავინ უბოდიშოდ ბუზს ვერ აუფრენს. ჩინელებს რომ 5.5. მილიარდი დოლარი „ანაკლია პორტის“ პროექტში ჩაედოთ, რუსეთი ფეხს ვერ შემოადგამდა იმ რეგიონში და იგი ვერასოდეს გახდებოდა მისი „საომარი ლელო“!**

ესენი, ის საკვანძო საკითხებია, რომლებიც მოწვეულ უცხოელ ექსპერტებს და საქართველოს სამთავრობო კომისიას, „ანაკლია პორტის“ ტენდერში გამარჯვებულის შერჩევისას რომ გამორჩა!








დავით ქობალია
598 70 86 00

**P.S. სტატიის დასაწყისში „საზოგადოებრივი მოძრაობა „ლელო“ და მისი დამფუძნებელი“ ვახსენე. მკითხველს შევპირდი საგანგებოდ განვიხილავდი მას, მაგრამ მარტივი მიზეზის გამო გადავიფიქრე.**

**2020 წლის არჩევნებში „საზოგადოებრივი მოძრაობა „ლელოს“, მისი დამფუძნებლის მიერ წლების წინ გაკოტრებული ათასობით მეანაბრე მიაკითხავს და საარჩევნო ურნასთან გასცემენ საკადრის პასუხს!**

**ხოლო, ყველა იმათ, ვინაც „ანაკლია პორტის“ დამაქცევარ ხაზარაძეს და მის მიერ დაფუძნებულ ე.წ. „სახალხო მოძრაობა „ლელოს“ უჭერენ მხარს, დიდხანს მოუწევთ თავჩაქინდრული სიარული უღირსი საქციელის გამო!**

**დაიმახსოვრეთ: „ლელოს გატანა“ მიზნის მიღწევას, გამარჯვებას ნიშნავს!**

**გვეყო საქართველოში თაღლითების თარეში და მათ მიერ გატანილი ლელო!**

# მორწმუნე გიგა

## ბოკერიას უთქვამს: აღსარება მამა ბასილ მკალავიშვილს უნდა ჩავაბაროო...





მოკლედ, ეშმაკთან წილნაყარი გიგა ბოკერია აფთიაქთან დგას და ლოცულობს, უცებ ქეჩოში მისი კნეინა, ღრმადმორწმუნე თამარა ჩერგოლეიშვილი სწვდა და ეუბნება: გიგა, ეს ის ჯვარი არაა, შენ რომ გგონია!

ალბათ ეგრევე დაგებადათ შეკითხვა: ხუმრობ? დიახ, ვხუმრობ... ან კი როგორ შეიძლება არ დავდგე ხუმრობის ხასიათზე, როცა გიგა ბოკერია, ღვთის პირიდან გავარდნილი ადამიანი წინასაარჩევნოდ უფალსა და სარწმუნოებაზე ალაპარაკდა? აგერ, ჩავიდა ამ დღეებში შიდა ქართლში, მოსახლეობას „გორის დღე“ მიულოცა და მეტად „ბრძნული“ სიტყვაც წარმოსთქვა თავისივე პირითა:

„საქართველოსთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანი ადგილია, აქ ახლოს არის ჩვენი მტერი, სამწუხაროდ, საოკუპაციო ხაზი და ღმერთმა და ჩვენ ერთად ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ საქართველო გამთლიანდეს და ეს ხალხი მყარად იდგეს ფეხზე“.

გაიგონეთ? ღმერთმა და ჩვენ ერთად ყველაფერი უნდა გავაკეთოთო, საქართველო უნდა გამთლიანდესო, ხალხი მყარად უნდა დადგეს ფეხზეო. ისე, კაი „მასტები“ არიან ეს გორელებიც, ერთი არავინ გამოდგა ფხიანი, რომ ეთქვა, შე ჩემა, 2008-ში სულ სხვანაირად ფიქრობდი, მტერი აზეირეთ, წადი, შენი კეთილებიცო!

ერთი სიტყვით და ორი გაგებით, ქართულ ჭორიკანა მედიაში ატყდა ერთი ამბავი, ბოკერიამ ღმერთი ახსენა, ეგ არი, გვეშველა, ეს ერთი ადამიანი გვყავდა სატანის ძმაკაცი და ეგეც დაუბრუნდა დედა სარწმუნოებასო. თუმცა გამოჩნდნენ ისეთებიც, რომლებმაც ქვა ააგდეს და თავები შეუშვირეს (უფრორე „ნაციონალებმა“), ბოკერიას მხრიდან ღმერთის ხსენება წმინდა წყლის დემაგოგია და პოპულიზმიაო, წინასაარჩევნო „ტრიუკიაო“, მორწმუნეთა გულის მოგებას ცდილობსო. ამის შემდეგ თვით გიგამ ეგრევე გაასწორა შეცდომა თავისივე პირითა:

„ვინც პოპულიზმში დამადანაშაულა, რა იციან, რომელ ღმერთს ვგულისხმობდი. იქნებ, სხვა ღმერთს ვგულისხმობდი და არა უმრავლესობის. ფრაზა ამერია უბრალოდ. მე ვამბობდი, ღმერთმა დაგვიფაროს ყველა, რომ ისევ ომი მოგვიწიოს და ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ გამთლიანდეს სამშობლო-თქო. ყველაზე კომიკური ამ ყველაფერში კი ის იყო, რომ ამაზე რეაგირება მოახდინეს „ნაციონალური მოძრაობის„ ლიდერებმაც, დეპუტატებმა, მაგალითად, თინა ბოკუჩავამ და სხვებმა„„ფეისბუქზე„. ჩათვალეს, რომ ეს სააკაშვილის განცხადების მარეაბილიტირებელი განცხადება იყო. ეს კომიკურია, რადგან პრობლემა ღმერთის ხსენება კი არ არის, ღმერთის ხსენება ნორმალური ამბავია, პრობლემა არის ის, თუ შენ ამ თემას იყენებ ოპონენტზე თავდასხმისთვის შავრაზმული პოზიციებიდან“.

რაღა დაგიმალოთ და... ბოკერიას ნათქვამი ყველამ თავისებურად გაიგო – მაგალითად, ზოგიერთმა ჩათვალა, რომ გიგამ ამით მიხეილ სააკაშვილს დაარტყა, ბიჭო, შენზე ნაკლები მორწმუნის დედას შევეციო. ალბათ, გახსოვთ, ამას წინებზე მიხომ გვარამიას და კვესიტაძეს განუცხადა, მე მართლმადიდებელი ქრისტიანი ვარ, 600 ეკლესია ავაშენე, მაგრამ უფალთან საქმეს ბოკერია მიფუჭებდაო.

ჩემეული დასკვნა მოსახლეობის აზრის გათვალისწინებით და წარსულ ფაქტებზე დაყრდნობით: ქართველებს უამრავი ბრძნული ანდაზა თუ გამონათქვამი გვაქვს – არ გათეთრდების ყორანი, რაც უნდა ხეხო ქვიშითაო... ენას ძვალი არ აქვსო... არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისიო... ბარი-ბარსა, თოხი-ტარსაო... ააფრინე ალალიო, რაც არ არი – არ არიო... ავი კაცი ცხვრის ქურქში ყოფნას ვერ შეძლებსო... რომელი ერთი ჩამოვთვალო? რამდენიც არ უნდა იტყუონ და იცრუონ ბოკერია-სააკაშვილმა უფლის სახელით, რამდენჯერაც არ უნდა ახსენონ ღმერთი და გადაიწერონ პირჯვარი (თუნდაც აფთიაქების წინ), მაინც იგივენი დარჩებიან, რანიც აქამომდე იყვნენ. მეტიც, ისინი ყოველთვის იმ საქმეებით განიზომებიან, რაც ჩაუდენიათ და დაუშავებიათ, არ აქვს მნიშვნელობა, არჩევნების წინ იქნება თუ უკან. ბოკერიამ თქვა, თქვენ რა იცით, მე რომელი ღმერთი ვახსენეო? თან დააყოლა, მე არ ვარ ეკლესიურიო. მართალია ეს არსება, კი უნდა წინასაარჩევნოდ ელექტორატის გამობენტერებული ნაწილის გადაბირება, მაგრამ თავის ძმაკაც ეშმაკს მაინც ვერ ღალატობს ბოლომდე, ვერ კადრულობს ხელის კვრას საბოლოოდ. აი, მიხო კი ყველაფერს კადრულობს, თუ დასჭირდა, კეთილისმყოფელ სატანასაც კი უარყოფს.

სხვათა შორის, გიგა ბოკერიამ მუქი წითელი ხაზი მაინც გაავლო სააკაშვილისა და თავის მომავალ სამოქმედო გეგმას შორის, როგორც იცით, ოდესის ყოფილი გუბერნატორი აცხადებს, როცა ხელისუფლებაში დავბრუნდები, ყველას დავიჭერ, ციხეში დავალპობ, ბიძინა ივანიშვილს კიდევ არა მხოლოდ დავიჭერ, ფულებსაც დავაყაჭინებო. ბოკერია აცხადებს, მე რომ გადმოვიბარებ ძალაუფლებას, არავის დავიჭერ, ანგარიშსწორება არ იქნება, რევანში გამორიცხულია, ყოფილი ხელისუფლების წევრების დევნაშევიწროება უნდა დამთავრდესო. ამოცანა გვეკითხება: ამ საცოდავ ქვეყანას რომლის მობრუნება უფრო აწყობს? რა თქმა უნდა, იმისი, ვინც გვპირდება, თითსაც არ დაგაკარებთო... ანუ ის, ვინც აცხადებს, მე და დავით ბაქრაძე რომ მოვალთ, ყველას ჩაგიხუტებთო. აი, აქ უკვე ეჭვი აღარ მეპარება ბოკერიას გულწრფელობაში და იცით, რატომ? როდესაც ეს ადამიანი მიხოს უშიშროების საბჭოს მდივანი გახლდათ, მიბარებული ჰქონდა მილიონები, რათა მოესყიდა უცხოელი ე.წ. დიპლომატები, სტატიები დაეკვეთა უცხოურ პრესა-ტელევიზიებში და ძალიან ბევრი მილიონი თავისთვისაც დაეტოვებინა. შეიცვალა თუ არა ხელისუფლება, ყველას ეგონა, პირველივე ჯერზე ამას დაიჭერდნენ და გაამწესებდნენ ვირის აბანოში, მაგრამ მოხდა სრულიად საწინააღმდეგო რამ, ბოკერია მშრალი გამოვიდა ყველა სადაო საკითხიდან. მეტიც, ის ისე მყარად მოჯდა საქართველოს პარლამენტში, ჯერ აქეთ დაიწყო მორალსა თუ კორუფციაზე ლაპარაკი, ახლა კი იძახის, მე რომ მოვალ ხელისუფლებაში, არავის დაგსჯითო. ესე იგი, რა გამოდის? ადამიანმა მილიონები შეიშრო, დასაჭერი იყო, მაგრამ შერჩა და შესაბამისად, არც გაბოროტდა. თქვე კაი ხალხო, აბა ერთი მიშასთვისაც გეპატიებინათ ყველაფერი, გადაგესვათ თავზე ხელი, აგერჩიათ პარლამენტში, განა ეგრე გაბოროტდებოდა და ეგრე დაიღვრებოდა მუქარად? აი, მაგალითად, დაიჭირეთ გიგი უგულავა და მალევე გამოუშვით? გაბოროტდა, მაგრამ „ქართული ოცნება“ აცხადებს: ბოკერიაც დასაჭერი იყო, დავით ბაქრაძეც დასაჭერი იყო, 250 ათასი ევრო გადარიცხა რომელიღაც უცხოურ ბანკში, დიდი მაქინაცია ჩაატარა, მაგრამ რაკი უცხოელმა მეგობრებმა გვთხოვეს, მაგათზე მაღლა დადექით, რევანშს შეეშვით, არ დავიჭირეთო, ვაპატიეთ და პარლამენტში ოპოზიციაც შევინარჩუნეთო.



დავუბრუნდეთ გიგა ბოკერიას მორწმუნეობას... წესით, ახლა მაგან აღსარება მამა ბასილ მკალავიშვილს უნდა ჩააბაროს. სხვათა შორის, რაც მამა ბასილის მრევლმა მაგას თავში ჯვარი ურტყა, კიდევ კარგადაა და თანაც არ დაგავიწყდეთ, წარსული ურწმუნობა, ასე თუ ისე, კარგად დაუჯდა, ტიპმა ამ გზით მილიონები იშოვა. სხვათა შორის, ბოკერიას ფერისცვალების თაობაზე კომპეტენტურ ადამიანებს ვკითხე, რა ხდება, ნეტა მართლა თუ მოექცა, ნეტა მართლა თუ გადმოქრისტიანდა-მეთქი? არაო, ეგ უბრალოდ პოლიტიკური თამაშიაო, გავა რამდენიმე თვე და ბოკერია შეიძლება ჯვრით ხელში გამოგვეცხადოსო. იცი, რა არიო? მას შემდეგ, რაც სააკაშვილმა მორწმუნეთა გადაბირება დაიწყო და ყველა ცოდვა გიგას აჰკიდა, რაღაც სხვანაირი მოქმედება იყო საჭიროო. გარდა ამისაო, თუ დავუკვირდებითო, „ნაციონალების“ განეიტრალება-გაფარჩაკება ისევ მაგათივე განაყოფების ხელით უნდა მოხდესო. კი, მაგრამ კრიტიკულ მომენტში ისევ ერთნი რომ არიან ხოლმე-მეთქი? საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში რა ქნეს, დაგავიწყდათ-მეთქი? ჰო, ეგრეაო, არ დაგვავიწყდა, მაგრამ ესენი მაინც კონსტრუქციულები არიან, დაუკვირდი, რევოლუციაზე, გადატრიალებასა და არეულობაზე არასოდეს ლაპარაკობენო. კი, მაგრამ კრიტიკულ მომენტში რომ ალაპარაკდნენ, მერე სად მიდიხართ-მეთქი? ნუ, ახლა, მგლის შიშით ცხვარი ვის გაუწყვეტიაო? ეგ ჰო, მაგრამ იცოდეთ, ესენი რომ გაერთიანდებიან, ესენი რომ მიშასთან ჩალაგდებიან და ჩაეხუტებიან, ისევ ჩემი და ჩემნაირების თავშისახლელი იქნება-მეთქი. აბა, რა ვქნათო, სხვა ნორმალური ოპოზიცია არ არსებობს, არადა, დემოკრატიული განვითარებისთვის საჭიროაო, უცხოელი მეგობრები ამას გვირჩევენო. რას გირჩევენ, ბოკერიები დაიყენეთ მთავარ ოპოზიციად-მეთქი? არაო, კონსტრუქციული ოპოზიცია შექმენ-ჩამოაყალიბეთო.

ამ ქვეყნის მთავარი უბედურება: პოლიტიკა პოლიტიკად, თამაში – თამაშად, კონსტრუქციულობა – კონსტრუქციულობად, მაგრამ ამ ქვეყნის მთავარი უბედურება გახლავთ ფარისევლობა. დიახ, ყოვლად აუტანელი და მიუღებელია, როცა სატანასთან შეკრული ღმერთსა და სარწმუნოებაზე გელაპარაკება, ყაჩაღი კორუფციაზე ლაყბობს ტელევიზიით, ბოზი პატიოსნებაზე უბნობს ყოველ საღამოს, ინდაური ადვოკატობს, ბატი ჟურნალისტობს, სირაქლემა მოსამართლეობს, ბილწი მორალისტობს და ლაჩარი პატრიოტობს. აი, სწორედ ამ დროს ირევა ქვეყანა, ყირაზე დგება ნამდვილი ფასეულობები და ერი, ხალხი, მოსახლეობა იშლება ფსიქოლოგიურად, რასაც მოსდევს გარემოს გაპარტახებაგაჩანაგება. შეიძლება სახელმწიფო წინ მიდიოდეს, ავტომობილები მრავლდებოდეს, რესტორნებში ჩამოსაჯდომი ადგილი არ იყოს (ფაქტობრივად ასეცაა), სოფლად არაერთი მეურნეობა შენდებოდეს, ქალაქად ცათამბრჯენები იგებოდეს, მაგრამ ირგვლივ მაინც სიღატაკე სუფევდეს, რადგან ადამიანის ერთ-ერთი მთავარი საკვები გახლავთ სამართლიანობა.

**გელა ზედელაშვილი**
555 48 48 61

# „ეჰეი, ევროპა, გაიღვიძე, თორემ 4 მილიონ ახალ დევნილს მიიღებ“

ინფორმაცია, თურქეთის ხელისუფლება თავის შეიარაღებულ ძალებს სირიის საზღვრებთან რომ უყრიდა თავს, ჯერ კიდევ თვის დასაწყისში გავრცელდა. სამხედრო ექსპერტების უმრავლესობა თურქეთის მხრიდან საბრძოლო მოქმედებების დაწყებას გამორიცხავდნენ. როგორც ცნობილია, სირიაში იმყოფებიან რუსეთის, ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო კონტიგენტი. კონფლიქტის დარეგულირების საკითხში ასევე აქტიურად მონაწილეობს ირანი. ექსპერტები აცხადებდნენ, რომ თუ თურქეთი დაიწყებდა სამხედრო ოპერაციას, ადვილი შესაძლებელი იყო კონფლიქტი ფართომასშტაბიან ომში გადაზრდილიყო. თურქეთს, ნატოს წევრ ქვეყანას ბოლო პერიოდში მჭიდრო და თბილი ურთიერთობა აქვს რუსეთთან, ამის გარდა,



ქურთები, აშშ-ის მხარდაჭერით სარგებლობდნენ და აქტიურად იბრძოდნენ „იგილის“ წინააღმდეგ. სწორედ ქურთებით დასახლებულ ტერიტორიაზე არის განთავსებული ბანაკები, სადაც ტერორისტული დაჯგუფების წევრები არიან განთავსებულები და ქურთები აკონტროლებენ.

მთავარ საფრთხედ ექსპერტები მიიჩნევდნენ იმ გარემოებას, რომ საბრძოლო მოქმედებების დაწყების შემთხვევაში შესაძლებელი იყო ერთმანეთს ნატოს წევრი ქვეყნები შეჯახებოდნენ. გაურკვეველი იყო რუსეთის პოზიცია. არსებული საფრთხეების მიუხედავად თურქეთმა გარისკა და დაიწყო სამხედრო ოპერაცია ერთობ რომანტიკული სახელით „მშვიდობის წყარო“.

საბრძოლო მოქმედებების დაწყების ერთ-ერთ მთავარ მიზეზად თურქეთის ხელისუფლებამ თავიანთი ქვეყნის უსაფრთხოების დაცვა დაასახელა. მათი განცხადებით, თურქეთის საზღვრებთან მოქმედებენ რადიკალურად განწყობილი დაჯგუფებები, რომლებიც საფრთხეს უქმნიან ქვეყნის მშვიდობიან მოსახლეობას. თურქეთს სურს შექმნას სირიასთან საზღვრის გასწვრივ ბუფერული ზონა, რომელიც უზრუნველყოფს მშვიდობას. თუმცა, საქმეს ართულებდა ის გარემოებაც, რომ საბრძოლო მოქმედებების არეალში განთავსებული იყვნენ აშშ-ის სამხედროები, მათთან შეტაკება, თუნდაც უნებლიე თურქეთს კარგს არაფერს უქადდა.

ოპერაცია „მშვიდობის წყაროს“ დაწყებამ თავდაპირველად განარისხა აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი. „... ჩემი სიბრძნიდან გამომდინარე გავანადგურებ თურქეთს არა სამხედრო ძალებით, არამედ ეკონომიკურად“ — განაცხადა ოპერაციის დაწყებისას. ამისთან ერთად წერილითაც მიმართა დონალდ ტრამპმა თურქეთის პრეზიდენტს რეჯიფ ტაიფ ერდოღანს თავი შეეკავებინა სამხედრო ოპერაციისგან. აღსანიშავია, რომ ტრამპის მიმართვა საკმაოდ უხეში გახლდათ. „... ნუ იქნები სულელი... სამხედრო ჩარევისგან თუ კარგი არაფერი გამოვა ისტორიაში სატანის სახელით შეხვალ“ — მისწერა ტრამპმა ერდოღანს, რამაც თურქი კოლეგა გაანაწყენა. საინტერესოა ის გარემოებაც, რომ საომარი მოქმედებების დაწყება, თურქეთმა აშშ-ს დააბრალა, ისინი აძლევდნენ ქურთებს იარაღს და ამიტომ გავხდით იძულებული დაგვეწყო სამხედრო ოპერაციაო, განაცხადეს.

სირიაში განვითარებულმა მოვლენებმა განსაკუთრებით ევროპელები შეაშფოთა. იქაურმა ქვეყნებმა დაგმეს თურქეთის ქმედება და იარაღის მიწოდება შეუწყვიტეს. განაწყენებული ერდოღანი კი აქეთ დაემუქრა: „...ეჰეი, ევროპა, გაიღვიძე თორემ ოთხ მილიონ ახ-



ალ დევნილს მიიღებ“, განაცხადა მხარდამჭერებთან შეხვედრისას. მუქარამ რეალურად შეაშინა ევროპელები, რომლებსაც არ უნდათ დევნილთა ახალი ნაკადის მიღება. ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა თურქეთის საგარეო მინისტრს მევლუდ ჩაუშოღლუს უთხრა: „...გვესმის, რეგიონში თურქეთს თავისი ინტერესები აქვს, მაგრამ თავშეკავებული მოქმედებაა საჭირო“. მინისტრმა კი უპასუხა: „...მხოლოდ განცხადებები საკმარისი არ არის, ნატოსგან რეალურ მხარდაჭერას ველოდებით“.

ამასობაში კი დონალდ ტრამპმა კიდევ ერთხელ გააოცა სამყარო — სირიიდან დაიწყო თავისი ჯარების სწრაფად გაყვანა — ქვეყანაში მხოლოდ მცირერიცხოვან კონტიგენტს დატოვებენ აშშ-ის კონტროლირებად ნავთობსაბადოების დასაცავად. ამერიკელმა პოლიტოლოგმა არიელ კოენმა განაცხადა: „...სირიიდან ჯარების გაყვანით ტრამპმა უდიდესი დარტყმა მიაყენა არა მარტო ქურთებს, მოკავშირეებსაც. ქურთებისთვის ტრაგიკული მომენტია, რადგან აშშ-მა უკვე მეორედ მიატოვეს. ეს თვალსაჩინო მაგალითი უნდა იყოს საქართველოსთვის და იგივე უკრაინისთვის“ ექსპერტები აღიარებენ, რომ ქურთები აშშ-ს იმედად იყვნენ, რომელსაც ეგოისტურ ზესახელმწიფოდ მიიჩნევენ. ამასთან აცხადებენ აშშ-ს და მის მოკავშირე ქვეყნებს შორის უთანხმოება ღრმავდება. თუმცა, იმასაც ამბობენ თურქეთის გარეშე აშშ-ის რეგიონში ინტერესების გატარება გაუჭირდება. ამიტომ ქურთებისთვის თავს არავინ შეიწუხებს. თურქეთს, რეგიონში როგორც საყრდენ ქვეყანას ნატოდან არავინ გაუშვებს, რადგან ეს ალიანსის რღვევას გამოიწვევს. არავის აწყობს ქურთების ახალი სახელმწიფოს შექმნა. ეს კარგად იცის ერდოღანმა და სურს სარგებელი ნახოს. ევროპის ქვეყნების პრესაში უკვე ღიად წერენ: „...აშშ-მა მოკავშირე ქურთები მიატოვა, ხომ არ მიატოვებს ევროპელ მოკავშირე ქვეყნებს გასაჭირში, რაც ადვილი შესაძლებელია“.



სირიიდან ჯარების გაყვანა დონალდ ტრამპმა ასე შეაფასა: „... ქურთები მეორე მსოფლიო ომში არ დაგვეხმარებიან. თუმცა, ჩვენ მათ



მივეცით ფული, იარაღი. ისინი თავიანთ ინტერესებისთვის იბრძვიან... არავის დაცვას არ ვაპირებთ, ქურთები დაიცვან რუსეთმა, ირანმა, თუნდაც ნაპოლეონ ბონაპარტმა... არ ვაპირებთ სირიაში წლობით დარჩენას“. ჯარების გაყვანის გამო დონალდ ტრამპმა თანაპარტიელი, რესპუბლიკელი სენატორების კრიტიკაც დაიმსახურა. აშშ-ის პოლიტიკური ელიტა შეშფოთებულია სირიიდან მათი ჯარების გასვლით, რადგან ქვეყანა კარგავს ახლო აღმოსავლეთში გავლენას. ამასობაში კი სირიის სამთავრობო ჯარები იკავებენ აშშ-ის მიერ მიტოვებულ სამხედრო ბაზებს.

ოპერაცია „მშვიდობის წყარომ“ უკვე გამოიღო თავისი უარყოფითი შედეგები. ორივე მხარეს არის მსხვერპლი, მათ შორის მშვიდობიან მოსახლეობაში. საცხოვრებელი ადგილები მიატოვა და დევნილი გახდა 150 ათასზე მეტი ადამიანი. დაბომბვების დროს ბანაკებიდან გაიქცნენ ტერორისტული დაჯგუფების წევრები, გაიტაცეს იარაღი, აიყვანეს მძევლები. საით წავიდნენ ეს ჯერ უცნობია. ვფიქრობთ, ამ გარემოებამ უნდა დააინტერესოს ჩვენი სპეცსამსახურებიც.

რეგიონში ვითარების განმუხტვას ცდილობენ მსოფლიოს პოლიტიკოსები, მათ შორის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ხელმძღვანელი ანტონიო გუტერიში, რომელმაც უშიშროების საბჭოს სხდომაც მოიწვია. თურქეთს ცეცხლის შეწყვეტისკენ მიუწოდა აშშ-ს თავდაცვის მინისტრმა მარკ ესპერმა.

გასულ კვირას თურქეთში ერდოღანთან მოსალაპარაკებლად ჩავიდნენ აშშ-ს ვიცე-პრეზიდნტი მაიკ პენსი და სახელმწიფო მდივანი მაიკ პომპეო. საინტერესოა, რომ ტრამპის უხეში წერილით განაწყენებული ერდოღანი საერთოდ არ აპირებდა სტუმრებთან შეხვედრას. თუმცა მეორე დღეს მხოლოდ პენსი მიიღო მათი შეხვედრა 4 საათს გაგრძელდა. ერდოღანი მთელი შეხვედრის მანძილზე შუბლშეკრული იყო, არც პროტოკოლურ მისალმებისას გაუღიმია ზრდილობის გულისთვის. გავრცელებული ინფორმაციით, პენსი მასპინძელს 2 კვირის წინ დაწესებული სანქციების მოხსნას დაპირდა. შეთანხმდნენ სამხედრო



ოპერაციის დროებით შეჩერებაზე და არა შეწყვეტაზე. მიუხედავად ამისა, დონალდ ტრამპი კმაყოფილი დარჩა და შეთანხმებას მსოფლიოსთვის „დიდი დღე“ უწოდა. „არ გვეგონა თუ ასე მალე მივაღწევდით შეთანხმებას“ — განაცხადა. თუ ცოტა ხნის წინ სატანას ადარებდა, ამჯერად ერდოღანი მეგობრადაც მოიხსენია.

არ შეიძლება გვერდი ავუაროთ დონალდ ტრამპის კომენტარს: „... სირიაში რუსეთის მოქმედება გასაგებია, ქვეყანაში მათ თავიანთი ინტერესები აქვთ. რა შუაშია აშშ-ი? სირია ჩვენი მეგობარი ქვეყანა არ არის, მისი ტერიტორიული მთლიანობა სულაც არ გვაღელვებს. იქ ქურთები ბევრი ცხოვრობს, რომლებიც ანგელოზები ნამდვილად არ არიან. ამიტომ თავად მოაგვარონ თავიანთი პრობლემები, იქიდან ჯარი დიდი ხნის წინ უნდა გამოგვეყვანა“.

ამასობაში ქურთებმა დახმარება ბაშარ ასადს სთხოვეს, რაც ასევე მოულოდნელი აღმოჩნდა პოლიტოლოგებისთვის. სირიის სამთავრობო ჯარები უკვე შევიდნენ ქურთების კონტროლირებად ტერიტორიებზე, ერთობლივად აკონტროლებენ სირია-თურქეთის საზღვრის გარკვეულ მონაკვეთს, რაც 2011 წლის შემდეგ არ ყოფილა. აღსანიშნავია კიდევ ერთი გარემოება. თუ მაიკ პენსი და მაიკ პომპეო (რომელთანაც შეხვედრაზე უარი თქვა ერდოღანმა) ჩავიდნენ თურქეთში, გუშინ ერდოღანი რუსეთში, პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინის მიწვევით იმყოფებოდა. თავისთავად, საუბარი ძირითადად სირიის პრობლემებზე გაიმართა, მაგრამ დეტალები ჯერ კიდევ უცნობია, რასაც იმედია მალე გაიგებს სამყარო. თუმცა, პუტინთან შეხვედრამდე ერდოღანი კვლავ დაემუქრა აშშ-ს, თუ დროულად არ გაიყვანენ ქურთ მებრძოლებს, აქტიურ საომარ მოქმედებას განაახლებს. აშშ-ი კი გრძელდება შიდა პოლიტიკური დაპირისპირება. რით დასრულდება ყოველივე, არიელ კოენს უჭირს პროგნოზირება, რომელიც მიიჩნევს, რომ აშშ-ი „წონიანი“ პოლიტიკოსების აშკარა დეფიციტია. თუმცა ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები.

**გია ბურდული**
551 71 27 07



# საზოგადოებამ „სამართალი“ უკვე დაადგინა: „გამოიძია“, „მიუსაჯა“, „დააპატიმრა“ და „დახვრიტა“

## მიხეილის მრევლი დადუმდეს! თქვენ არ იყავით, მერაბიშვილის ხელით, „პრეზიდენტის სირის გადასახადს“ რომ კრეფდით?

გამოძიებას ჯერ საბოლოო სიტყვა არ უთქვამს, მაგრამ საზოგადოების ერთმა ნაწილმა სამართალი უკვე „დაადგინა“, „გამოიძია“, „მიუსაჯა“, „დააპატიმრა“ და „დახვრიტა“! მეტიც, საზოგადოება ისე შევიდა „როლში“ რომ ჯვარს აცვა, წყალს და მეწყერს გაატანა, „დახვრიტა“ ადვოკატიც, რომელიც იცავს თავის კლიენტს და რომელსაც სხვა საქმეში მონაწილეობისას ტაშს უკრავდა.

საქმე ეხება სკანდალს, რომელიც დაახლოებით ერთი თვის წინ აგორდა და დღემდე „მოდაშია“.ერთ მხარეს დგას თბილისის









საკრებულოს დეპუტატი, მეორე მხარეს მისი თანამშრომელი.

“ალკოჰოლური თრობის ქვეშ მყოფმა გადაწყვიტა, რომ შეეძლო ჩემთან დაემყარებინა აქტი და ჩამეხუტა, კისერში დამიწყო კოცნა, მოწი ტუჩებიო და ფეხებს შუა რომ გიცურებს ხელებს... უცებ დავინახე გვერდით ჩემი ტელეფონი, ვიღებ მეთქი ბატონო ილია... დამაგდო ძირს, ტელეფონი დამიფშვნა. როგორი გამოვიქეცი სახლში, არ მახსოვს, ისეთ ისტერიკაში ვიყავი, საკუთარი ხელით გამოვიძახე სასწრაფო, ფსიქოლოგიც კი დამინიშნეს. მე მე არ ვარ... არ ვიცი, რა კომენტარი გავაკეთო, ძალიან ცუდად ვარ” – ეს ტექსტი იმდენჯერ გაჟღერდა მედიის საშუალებით ალბათ ბევრმა ზეპირად იცის.

თბილისის საკრებულოს ოცნების დეპუტატი ილია ჯიშკარიანი თანამშრომელმა თამთა თოდაძემ პირველი სატელევიზიო „ბრალდებით“ გაუპატიურების მცდელობაში დაადანაშაულა. თუმცა სიტყვა – გაუპატიურება (სავარაუდოთ კეთილმოსურნეების რჩევით) შემდეგ გამოსვლებში „მიივიწყა“ – სამაგიეროდ კარგად ახსოვდა მოთხოვნები, მოძალადისთვის უფლებამოსილების შეჩერება და აღმკვეთი ღონისძიება პატიმრობა!

„პატრიოტთა ბანაკში“ ბოლშევიკურ იდეოლოგიას ნაზიარები „დაზარალებული“, სუსტი მსახიობი თამთა თოდაძე „გაუპატიურების ნაწილში“ პირველივე ინტერვიუში ტყუოდა. ექსპერტიზის დასკვნა არც ცემას და „წიხლებით შედგომას“ ადასტურებს, რაც შეეხება ტექნიკის დამტვრევას რომელსაც ინტერვიუში ჯიშკარიანს აბრალებს, ჩვენებაში აღიარებს, რომ მან დააზიანა ტელეფონი, რომელიც თითქოს „მოძალადემ“, ჭიდაობის დროს დაუმტვრია. ტელეფონი გამქრალია. თუმცა ადვოკატ მარიამ კუბლაშვილს დიდი იმედი აქვს, რომ მის ადგილსამყოფელს მიაკვლევენ და კიდევ ტყუილში ამხელენ „დაზარალებულს“. დადასტურებულია ის ფაქტიც, რომ დეპუტატი მეუღლეს წუთი-წუთზე ელოდებოდა და სტუმრად მიდიოდნენ. საოცარია, რატომ მოინდომებდა თანამშრომლის გაუპატიურებას მეუღლის მოლოდინში? ილია ჯიშკარიანი ნახევარ საუკუნეზე მეტს ითვლის და შემჩნეულიც არ ყოფილა ძალადობაში ან არაკაცობაში. ნუთუ, ისე გაიღვიძა მასში მხეცმა მეუღლის მოლოდინში, რომ მისხალ-მისხალ ნაგროვებ კაცობას, ოჯახს, სამეგობროს, თანამდებობას, პასუხისმგებლობას ყველაფერს ხაზი გადაუსვა და მისი გონება, სული და გული მარტო თამთას ხედავდა? საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ შენობა სადაც „მოქმედება“ხდებოდა ცენტრალურ ქუჩაზე მდებარეობს, საშუალო სკოლასთან ახლოს, პირველ სართულზე. ფანჯრები ქუჩის მხარეს გადის და დროის ნებისმიერ მონაკვეთში არცთუ ცოტა ხალხი მოძრაობს. ერთი კედელი ყოფს ნოტარიუსთან, სამუშაო საათებში იქაც საკმაოდ ბევრი ხალხია. „გიფსოკარდონის“ კედლის უკან, ოჯახი ცხოვრობს რომელიც ხმაურზე მკაცრად რეაგირებს და ნუთუ, ამხელა ბრძოლის ხმა ვერავინ გაიგო? ან, „მოძალადისგან“ თავდაღწეულმა თამთამ როგორ მოასწრო ჩანთის აღება, ურდულის „გაღება“ რომელიც სინამდვილეში დაკეტილიც არ იყო და სახლისკენ გაქცევა. თუ ილია ასე დაუნდობლად მოექცა „დაბნეულ, შეშინებულ“ გოგონას, ხომ უნდა ეფიქრა, რომ „მონსტრი“ კვალში არ ჩადგომოდა? იქნებ, სამსახურიდან სახლამდე მანძილი იყო საჭირო შურისძიების დრამის მოსაფიქრებლად... რატომ არ შევარდა ნოტარიუსში და არ გამოიძახა პატრული? საინტერესოა რატომ შეცვალა რამოდენიმეჯერ ჩვენება, აი, „მოძალადეს“, არც, მოწმეებს, ჩვენება არ შეუცვლია თ. თამთა თოდაძე ტყუოდა როცა ილია ჯიშკარიანს გაუპატიურებას აბრალებდა, ტყუის, რომ მოწმეები ანუ თანამშრომლები ჯიშკარიანის ნათესავები არიან. ტყუის, თითქოს მის გარდა სამსახურში არავინ დადიოდა და ყველას ნაცვლად თვითონ მუშაობდა. სარწმუნო წყაროს ცნობით, თოდაძე ოპოზიციის დეპუტატთან აწარმოებდა მოლაპარაკებას და დიდი სურვილი ჰქონდა მის ბანაკში გადასულიყო რადგან იქ მეტი ხელფასი და „გაქანება“ექნებოდა თუმცა მოლაპარაკება დაპირებით დასრულდა და მომხდარი ფაქტის შემდეგ „ის“ დეპუტატი ღმერთს მადლობას წირავდა, რომ გადარჩა! ამბობენ, რომ თოდაძის დედას „მიხეილის ხანაში“ თაღლითობის მუხლით შვიდი წელი პირობითი ჰქონდა მისჯილი. იმ დროს პირობითს რა პირობით უსჯიდნენ ვფიქრობ ახსნა არ ჭირდება... ილია ჯიშკარიანის დამცველის მარიამ კუბლაშვილის განმარტებით — ჩემი დაცვის ქვეშ მყოფის ცხოვრებიდან ერთი ფაქტი მაინც მომიყვანონ, როცა მან თავის უფლებამოსილებას გადაამეტა. ილია ჯიშკარიანს აბრალებენ იმას, რაც თავად ჩაიდინეს.

მხოლოდ ერთი პირის ჩვენებას ეყრდნობა ბრალი. დასჯილი და დაზარალებული ჩემი მხარეა. დიახ, ერთი მოწმის ჩვენებით უფალი მოსეს მკვლელის დასჯასაც კი უკრძალავდა „ყველა, ვინც კაცს მოკლავს, მკვლელი მოწმეთა ჩვენებით უნდა მოიკლას. მარტო ერთი მოწმის მხილებით არავინ არ უნდა მოკვდეს სიკვდილით...“

აპარატურა, რომელიც ჩვენებაში აღიარა, რომ თვითონ დალეწა დათვალიერების დროს პოლიციამ ამოიღო. ამბობენ, ამოღებულია ბოთლიც, რომელშიც ალკოჰოლი ესხა და მიუხედავად იმისა, რომ „ცოტა“ დალია თამთას სასმელი მოერია და აგრესიული გახდა. სოციალურ ქსელში არაერთი სტატუსი გავრცელდა თამთას ალკოჰოლური თრობის დროს მოწყობილი ისტერიკის და შემდეგ პოლიციაში დაწერილი საჩივრის შესახებ, რომელმაც კინაღამ უდანაშაულო ბიჭების თავისუფლება შეიწირა.

საზოგადოებას კარგად ახსოვს, დაახლოებით ერთი წლის წინ აგორებული სკანდალი, რომელიც ეხებოდა პაპუნა უგრეხელიძეს. უგრეხელიძე იმჟამად საჯარო რეესტრის სააგენტოს ხელმძღვანელობდა, მისმა ყოფილმა თანამშრომელმა განაცხადა რომ სააგენტოს ხელმძღვანელი მას სექსუალურად ავიწროებდა. საზოგადოება ამ დროსაც ერთსულოვანი იყო – „გამოიძიეს“, „გაასამართლეს“ და „დახვრიტეს“. სასამართლომ კი საპირისპირო დაადასტურა და აღმოჩნდა, რომ პაპუნა უგრეხელიძე მის ყოფილ თანამშრომელს სექსუალურად არ ავიწროებდა. მიუხედავად იმისა, დადასტურდა რომ უგრეხელიძეს ცილი დასწამეს, საზოგადოებას თავისი სიტყვა არ უთქვამს. საზოგადოებამ არ გამოიძია და არ გაასამართლა ქალი, რომელმაც უგრეხელიძეზე ფაქტიურად იძალადა კიდეც და ცილიც დასწამა. უგრეხელიძის ოჯახისთვის, მისი შვილებისთვის ბოდიში არავის მოუხდია!

ფაქტია ასევე ისიც, რომ ერთი წლის წინ საზოგადოებამ არასამთავრობო ორგანიზაცია სამოქალაქო საზოგადოების განვითარების სააგენტოს აღმასრულებელი დირექტორი და კარგად ცნობილი სამოქალაქო აქტივისტი, რომელსაც სერიოზული გავლენა და რეპუტაცია აქვს საქართველოს სამოქალაქო და პოლიტიკურ წრეებში, ზვიად დევდარიანი გაასამართლა. ქალთა მოძრაობამ დევდარიანს უჩივლა. ამონარიდი ქალთა მოძრაობის მიერ იმჟამად გავრცელებული განცხადებიდან: „ზვიად დევდარიანი წლების მანძილზე იყო ქალთა მოძრაობის აქტიური მხარდამჭერი. ის ესწრებოდა ჩვენს მიერ გამართულ თითქმის ყველა აქციას, ღიად და საჯაროდ უჭერდა მხარს ქალთა უფლებებს და ამ დრომდე ის ითვლებოდა ქალთა მოძრაობის ერთ-ერთ თანამოაზრედ. გარდა ამისა, ზვიად დევდარიანი ქალთა მოძრაობის არაერთი წევრის კოლეგა და მეგობარია. მიუხედავად ამისა, ეგრეთ წოდებულმა ქალთა მოძრაობამ დევდარიანი გაასამართლა და განაჩენიც გამოუტანა, ეს იმ დროს, როცა მოგვიანებით, როცა სახალხო დამცველმა დადო დასკვნა, იქ შავით თეთრზე წერია, რომ მტკიცებულებები ვერ იქნა მოპოვებული, მაგრამ დევდარიანი მაინც „მტყუანია“. როცა დევდარიანს სკანდალი აუგორეს, ეგრედ წოდებული ცნობილი ტელეწამყვანები გამოვიდნენ და წარსულის გახსენება დაიწყეს, როგორ ავიწროებდათ მათ ტელეკომპანიების ხელმძღვანელობა. „ცნობილებმა“ არ გაიხსენეს და „არაცნობილებმა“ არ იციან, რომ ქალი, რომელიც დევდარიანს სექსუალურ შევიწროებაში ადანაშაულებდა, სააკაშვილის ხელისუფლების პერიოდში უჩიოდა ერთ კაცს, რომელსაც მიშამ „სამართლიანობის აღსადგენად“ ქონება წაართვა, მანქანაც და ფულიც გადაახდევინა ბიუჯეტში. როდესაც ეს ქალი ამ კაცს უჩიოდა, ქალის ქმარი ვანო მერაბიშვილთან მუშაობდა და ამ კაცის მიმართ ნაწარმოები საქმე სასამართლოს არქივში ინახება. მოკლედ, დღეს უკვე ყველამ კარგად იცის დევდარიანის წინააღმდეგ



ვის გამო აგორდა სკანდალი და უკვე არავინ აქცევს ყურადღებას, არავინ იხსენებს ვაჩო სანაიას მეუღლის ფეისბუქპოსტს: როგორც ჟურნალისტის ყოფილი მეუღლე წერს, სანაიამ „ქალთა სოლიდარობისთვის „ხმალამოღებულ მებრძოლზე“ იქორწინა, თუმცა ვინაობას არ ასახელებს. როგორც „კვირა პლუსს“, ანონიმურმა წყარომ აცნობა, სანაიას ახლადშერთული მეუღლე, სტომატოლოგი თამარ ყურაშვილი, ერთ-ერთია იმ ქალბატონებიდან, ვინც არასამთავრობო ორგანიზაცია „სიდას“ ყოფილ აღმასრულებელ დირექტორს, ზვიად დევდარიანს სექსუალურ შევიწროებაში ადანაშაულებდა.

და ბოლოს, მიხეილის მრევლი უნდა დადუმდეს როცა ძალადობაზე, გაუპატიურებაზე და სხვა უკანონო ქმედებაზე საზოგადოებაში მწვავე განხილვები მიმდინარეობს. გვახსოვს „ოქროს ხანა“ როცა მიშას ვნებების დასაცხრობად მთელი სახელმწიფო მანქანა მუშაობდა. მიშა სააკაშვილის მსუბუქი ყოფაქცევის ქალებით გატაცებაზე რამდენიმე ტომი წიგნიც დაიწერება. საკუთარ ბოზებს, აქაურებსა თუ გადამთიელებს, პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან აფინანსებდა, სექსმომსახურების გადასახადსაც იქიდან უხდიდა და ძვირადღირებულ საჩუქრებსაც ყიდულობდა მათთვის. ამის დამადასტურებელი დოკუმენტაცია არაერთხელ გამოქვეყნდა ქართულ და უცხოურ მედიაში. სარეზერვო ფონდიდან მიშას ქალებში დახარჯული თანხები რა მოსატანია იმ ასეულ ათასებთან თუ მილიონებთან, რასაც კონკრეტული ბიზნესმენები ამავე საქმისთვის ახარჯავდნენ პრეზიდენტს და ამ სოლიდურ თანხას თვით ვანო მერაბიშვილი განკარგავდა და „მოსაკრებელს“ სიყვარულით „პრეზიდენტის სირის გადასახადს“ უწოდებდა. ნეტარ მიხეილს, გარემოცვაც „ერთადგილ ამხედრებული“ ყავდა გვახსოვს ნატო-ს სამიტზე მონაწილეობის მისაღებად ჩასულმა ნაცდელეგაციამ მსუბუქი ყოფაქცევის ოთხმოცი ქალი, რომ დაიქირავა და ხმაურის გამო, საფრანგეთის პრეზიდენტმა, ნიკოლა სარკოზმა მათ სასტუმროს ადმინისტრაციასთან პირადად უჩივლა. აღსანიშნავია, რომ მსუბუქი ყოფაქცევის ქალებს თურმე ნაცდიდებულებმა ხელშეკრულება გაუფორმეს. მართალია, შემთხვევა სასტუმროშივე დასრულდა, თუმცა პოლიციის მიერ ინციდენტის სტატუსით ოფიციალურად დარეგისტრირდა. უამრავი ადგილობრივი თუ საერთაშორისო სკანდალური ფაქტი გახსენება შეიძლება ნაცელიტის ირგვლივ... მიხეილმწყემსის ბატკნის ქურქში გახვეულები ოცნებას შვიდ ბრუნვაში, რომ ახსენებენ მინიმუმ უხერხულია. დიახ, ყველაფერი მწარედ გვახსოვს და სწორედ კარგი მახსოვრობის გამო აპროტესტებს საზოგადოების დიდი ნაწილი კოჰაბიტაციას რომელიც სამართალდამცავ ორგანოებში განსაკუთრებით თბილადაა ჩაბუდებული და შესაფერის მომენტს ელოდება...

**ქეთევან ზარნაძე**
599 52 60 30

# „საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია



„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი **მთვარისა კევლიშვილი**. ტელ.: 2 79 63 91; 0 790 60 64 69; 5 93 78 64 69

* * *

— **ვინ ითვლება მარტოხელა მშობლად?**

— თქვენთვის საინტერესო საკითხს არეგულირებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 11911-ე მუხლი, რომლის შინაარსსაც წარმოგიდგენთ სრულად:

1. მარტოხელა მშობელი არის ამ მუხლით გათვალისწინებული მარტოხელა დედის ან მარტოხელა მამის სტატუსის მქონე პირი.

2. მარტოხელა დედა არის პირი, რომელსაც ჰყავს ქორწინების გარეშე დაბადებული 18 წლამდე ასაკის შვილი, თუ ბავშვის დაბადების აქტის ჩანაწერში არ არის შეტანილი ჩანაწერი ბავშვის მამის შესახებ, აგრეთვე პირი, რომელსაც ჰყავს შვილად აყვანილი 18 წლამდე ასაკის ბავშვი და რომელიც ბავშვის შვილად აყვანის მომენტში არ იმყოფებოდა რეგისტრირებულ ქორწინებაში.

3. მარტოხელა მამა არის პირი, რომელსაც ჰყავს ქორწინების გარეშე დაბადებული 18 წლამდე ასაკის შვილი, თუ ბავშვის დაბადების აქტის ჩანაწერში არ არის შეტანილი ჩანაწერი ბავშვის დედის შესახებ, აგრეთვე პირი, რომელსაც ჰყავს შვილად აყვანილი 18 წლამდე ასაკის ბავშვი და რომელიც ბავშვის შვილად აყვანის მომენტში არ იმყოფებოდა რეგისტრირებულ ქორწინებაში.

4. მარტოხელა მშობლის სტატუსის გაუქმების საფუძველია ბავშვის დაბადების აქტის ჩანაწერში მეორე მშობლის შესახებ ჩანაწერის შეტანა, შვილის (შვილად აყვანილი პირის) მიერ 18 წლის ასაკის მიღწევა, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა გარემოება, რომელიც გამორიცხავს მარტოხელა მშობლის სტატუსის ქონას.

5. მარტოხელა მშობლის სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

6. მარტოხელა მშობლის სტატუსის დადგენისა და შესაბამის პირთა შესახებ მონაცემების წარმოების წესი განისაზღვრება საქართველოს იუსტიციისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრების ერთობლივი ბრძანებით.

* * *

— **უკვე რამდენიმე წელია, დაკარგულია ჩემი ახლობელი. მის ცოლ-შვილს აქვს მემკვიდრეობის მიღების პრობლემა. როგორ მოვიქცეთ?**

— უნდა მიმართოთ სასამართლოს პირის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების თაობაზე. დაგიკონკრეტებთ:

მუხლი 21. პირის აღიარება უგზო-უკვლოდ დაკარგულად

1. დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე ფიზიკური პირი შეიძლება სასამართლოს გადაწყვეტილებით აღიარებულ იქნეს უგზო-უკვლოდ დაკარგულად, თუ მისი ადგილსამყოფელი უცნობია და ორი წლის მანძილზე იგი არ გამოჩენილა თავის საცხოვრებელ ადგილას. გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ კანონით მემკვიდრეები მოიპოვებენ უფლებამოსილებას, უკვალოდ დაკარგულის ქონება მართონ მინდობილი საკუთრების სახით, მათ შორის, მიიღონ მისგან სარგებელი. ამ ქონებიდან მიეცემა სარჩო უგზო-უკვლოდ დაკარგულის რჩენაზე მყოფ პირებს და დაიფარება ვალები.

2. უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებული პირის დაბრუნების ან მისი ადგილსამყოფლის აღმოჩენის შემთხვევაში უქმდება სასამართლოს გადაწყვეტილება მისი ქონების მართვის შესახებ. მეურნეობის სათანადო გაძღოლით მიღებული სარგებლის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება მას არა აქვს.



* * *

— **ჩემი ქალიშვილი იყო დანიშნული. საქმრომ ჩაშალა ნიშნობა. შეგვიძლია თუ არა, შევიტანოთ სასამართლოში სარჩელი და მოვითხოვოთ დაქორწინება?**

— არა, არ შეგიძლიათ.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1109-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ნიშნობა არ არის სასამართლოში იძულებითი დაქორწინების მოთხოვნის შესახებ სარჩელის წარდგენის საფუძველი.

ამასთან დამატებით გაცნობებთ, რომ ხსენებული მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, ნიშნობასთან დაკავშირებული საჩუქრები დაუქორწინებლობის შემთხვევაში მხარეებს უკან უბრუნდებათ.

* * *

— **ჩემმა შვილმა ოჯახური უთანხმოების ნიადაგზე დაჭრა სიმამრი. სასამართლო-ფსიქიატრიულმა ექსპერტიზამ დაადგინა, რომ იგი დანაშაულის ჩადენის დროს იყო შეურაცხადი. რა მოხდება შემდეგში?**

— საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 191ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, თუ დადგინდა, რომ ბრალდებული დანაშაულის ჩადენისას შეურაცხი იყო, სასამართლო მხარის შუამდგომლობით შეწყვეტს მის მიმართ სისხლისსამართლებრივ დევნას. ამასთანავე, საქმის განმხილველი მოსამართლე ვალდებულია «ფსიქიატრიული დახმარების შესახებ» საქართველოს კანონის 221 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე, იმავე განჩინებით გადაწყვიტოს ამ პირისთვის იძულებითი ფსიქიატრიული მკურნალობის ჩატარების საკითხი. ეს განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს ამ კოდექსის 207-ე მუხლით დადგენილი წესით.

ამავე მუხლის მე-21 ნაწილის მიხედვით, ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში მოსამართლე განჩინებით განსაზღვრავს იძულებითი ფსიქიატრიული მკურნალობის ვადას. ეს ვადა არ უნდა აღემატებოდეს 4 წელს. ვადის განსაზღვრისას გაითვალისწინება ბრალდებულის ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობა და ბრალდებულის საკუთარი თავისთვის ან/და სხვა პირისთვის ზიანის, მუქარის ან/და ძალადობის შემცველი ქცევის რისკის ხარისხი, რომელთა შეფასებაც მოცემულია ბრალდებულის შერაცხადობის თაობაზე სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნაში. ამასთანავე, განჩინებაში მიეთითება, რომ იძულებითი ფსიქიატრიული მკურნალობა შეიძლება შეწყდეს დადგენილ ვადაზე ადრე, «ფსიქიატრიული დახმარების შესახებ» საქართველოს კანონის 221 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლების აღმოფხვრისთანავე, თუ მათი აღმოფხვრა დადასტურდება იმავე კანონით.

* * *

— **მე და ჩემი მეუღლე ვზრდიდით მეუღლის ობოლ ძმისშვილს, რომელსაც ორივე მშობელი ავტოავარიაში დაეღუპა. გადავწყვიტეთ ბავშვი გვეშვილა, რადგან ჩვენ შვილი არ გვყავდა, ხოლო ჩემს ქმარს არ უნდოდა, ბავშვის მიმართ მხოლოდ ბიძის სტატუსით ეზრუნა, რადგან ბიჭი მართლა შვილივით გვიყვარს. შევიტანეთ სარჩელი სასამართლოში, მაგრამ მოულოდნელად ჩემი მეუღლე დაიღუპა. ხომ არ შემექმნება პრობლემა ბავშვის შვილად აყვანასათან დაკავშირებით მეუღლის გარდაცვალების გამო?**

— არა, პრობლემა არ შეგექმნებათ, რადგან თქვენი მეუღლის სიცოცხლეშივე შეგიტანიათ სარჩელი სასამართლოში. ამ სარჩელში დაფიქსირებულია ნება თქვენი მეუღლისა, რომ სურს, იყოს ბავშვის მამა. ვფიქრობ, სამოქალაქო კოდექსის 1240-ე მუხლი სრულად გასცემს პასუხს თქვენს შეკითხვას:

მუხლი 1240. შვილად აყვანის დადასტურება აღმზრდელის გარდაცვალებისას

აღმზრდელის გარდაცვალებისას შვილად აყვანის ფაქტი შეიძლება სასამართლოს

წესით დადასტურდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არასრულწლოვანი ოჯახში

შვილად იყო მიღებული, აგრეთვე, თუ მშვილებელმა სიცოცხლეშივე შეიტანა განცხადება სასამართლოში შვილად აყვანის შესახებ.

თქვენს შემთხვევაში ყველა პირობა დაცულია: ბავშვი თქვენს ოჯახში უკვე იზრდება, როგორც შვილი და, ასევე, თქვენ და აწ გარდაცვლილ თქვენს მეუღლეს უკვე შეტანილი გაქვთ სარჩელი სასამართლოში. ბავშვის დაბადების მოწმობაში თქვენ მითითებული იქნებით, როგორც დედა, ხოლო თქვენი მეუღლე, როგორც მამა.

* * *

— **ჩემს ყოფილ მეუღლეს სასამართლომ დააკისრა ალიმენტის გადახდა ჩვენი არასრულწლოვანი შვილის სასარგებლოდ. მიუხედავად, ჩემი არაერთგზისი მოთხოვნისა, ის არ იხდის ალიმენტს. მაინტერესებს, არსებობს თუ არა სამართლებრივი ნორმა ალიმენტის გადაუხდელობის გამო დასჯის შესახებ და როგორია მისი შინაარსი?**

— დიახ, არსებობს ასეთი ნორმა სისხლის სამართლის კოდექსში. კერძოდ:

მუხლი 176. ალიმენტის გადახდისათვის ჯიუტად თავის არიდება

სასამართლო გადაწყვეტილებით დაკისრებული ალიმენტის გადახდისათვის ჯიუტად თავის არიდება, —

ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას ოციდან ორას ორმოც საათამდე ანდა გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე.

# მადლის ხალისი


ანა მირცხულავა

### შემთხვევა მართავს სამყაროს...

**ნაპოლეონი**

რაკი გზისპირა კორპუსის ჰაერდახშულ ერთოთახიან ხრუშჩოვულა ბინაში მუშაობის სასურველი პირობები არ მაბადია. პატარა საკეცი მაგიდით, ფეხებდამოკლებული სკამით, სკამზე ამოკრული ზურგჩანთითა და შალითიანი ქოლგით ხან ფეხით, ხან კი საზოგადოებრივი ტრანსპორტით ბუნების წიაღში გავდივარ: აქვე, დიღმის ტყეპარკი... სოფელ დიღმის ღელე-ღრანტობები ან გააბეჩხრებული ვენახების ქოხმახები... წყნეთის ტყე... კოჯრისა და კიკეთის მოუხვედრელი კუნჭულები – გააჩნია წლის დროს, ამინდსა და შემოქმედებით გუნება-განწყობილებას, რომელსაც ჩაფიქრებუ-



ლი ნაწარმოები მიყალიბებს!..

ზურგჩანთა და ქოლგა კი, მკითხველი მყისვე მიმიხვდება, ყოველთვის აუცილებელია!

ჩემისთანა ხელმოკლე და თანაც უმუშევარი, მხოლოდ პენსიაზე ჩამოკიდებული კაცისთვის სრულებით მიუწვდომელია ძვირადღირებული საფირმო ზურგჩანთები. ის კი არა, რაკი კომპიუტერი არ მაქვავია, ჩემი და ასევე უმუშევარი ჩემი მეუღლის პენსიის მნიშვნელოვანი ნაწილი სულ ამ რედაქციებში წარსადგენი ნაწარმოებების ელექტროვერსიების შექმნაზე იხარჯება!

ერთი სიტყვით, „ბუნების წიაღში" აუცილებელი ბარგის წასაღებად თავიდან ბურღულეულის შუაზე გადაჭრილ და ჩემებურად შეჯღანულ ტომარას ან გამძლეობისთვის ცელოფნის სამმაგ პარკს ვხმარობდი. მაგრამ ეს მეტისმეტად მოუხერხებელი და ულაზათოც იყო, თან ძალიან მაწვალებდა, მაგრამ რა მექნა?!.

ერთ დილას, ტყეპარკში სეირნობიდან რომ ვბრუნდებოდი, გავიხედე და რასა ვხედავ: რომელიღაც კორპუსიდან მამა-შვილი გამოვიდა. ათიოდე წლის ქერაქოჩრიან ბიჭუნას ახალნაყიდი, თვალმახარი ზურგჩანთა ამაყურად მოეკიდებინა, მამას კი ნაგვით სავსე ანწლისფერი ვეებერთელა პარკი და გადასაგდებად გამეტებული ამ ბიჭუნას ნაქონი ცარიელი ზურგჩანთა ნანადირევი ხოხობივით ეჭირა! მამამ გაძეკილ პარკს სანაგვე ურნაში გადაუძახა, მაგრამ, ეტყობოდა, რაკი ახალივით ზურგჩანთაც იქ ჩასაგდებად ეაფსუსებოდა, იქვე, ჭადრის ძირას ღვთის შესაწირავივით მიდო – იქნებ ვინმემ გამოიყენოსო!

მომრიდებოდა კი არა, ზურგჩანთა ქორულად ავიტაცე, „მერსედესში" ჩასხდომამდე მამა-შვილს რომ მოესწრო დანახვა და დამშვიდება – მათი ნაქონი ზურგჩანთა მყრალი ურნის ლუკმა კი არ გახდა, არამედ ღმერთმა ახალი პატრონი იმავწამიერად მოუვლინა!

არასოდეს დამავიწყდება ავტომობილის კარს ხელჩავლებული იმ ახალგაზრდა ულვაშიანი კაცის მარილიანი ღიმილი და აღტაცებისგან აკამკამებული ბიჭუნას თვალები!..

ერთი სიტყვით, ის ზურგჩანთა გავრეცხე, გავაშრე, თუ სადმე სჭირდებოდა, რუფია მივეცი და რაკი ფაქიზად ვხმარობდი, შვიდ წელზე მეტ ხანს მემსახურებოდა! მაგრამ 2019 წლის 17 სექტემბერს თავს უბედურება დამატყდა – ზურგჩანთის მარცხენა სამხრეს პლასტმასის ბალთა ნამსხვრევებად ექცა!

ეს ჩემთვის კატასტროფას უდრიდა! შემეძლო, უბალთო ღვედი თავის ადგილას მახათითა და კაპრონის ძაფით მიმეჯღანებინა ან დამსხვრეული ბალთის ყულფში ღვედი გამეყარა და მკვიდრად გადამეკვანძ-გადმომეკვანძა, მაგრამ ეს არ შეიძლებოდა: თუ სკამითაც გავდივარ, მაშინ ზურგჩანთის სამხრეები გვარიანად უნდა დაგრძელდეს სკამის საზურგეში ამოსატარებლად, ხოლო თუ უსკამოდ მივდივარ, სამხრეებს საკმაო დამოკლება სჭირდება! მოკლედ, აღარ ვიცოდი, რა წყალსა და ღვარს მივცემოდი!

სასოწარკვეთისგან დავთრებდაფანტულს, დილით მომეჩვენა, რომ უცებ ბრწყინვალე აზრი მომივიდა, რომელიც თურმე ყოვლად არაგონივრული ყოფილიყო: წერეთლის გამზირზე, „დინამოს" სტადიონიდან მოყოლებული, ზურგჩანთების იმოდენა მაღაზიები უმწკრივია და, ცხადია, ნაირ-ნაირი სათადარიგო ბალთებიც ექნებათ-მეთქი!..

მეც იქით დახელფეხებული გავეჩქარე. თან პარკით ზურგჩანთაც წავიტანე, რათა ზუსტად მისადაგებული ბალთა ამომერჩია! მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ – ყელგადაგდებით რომელ გამყიდველს აღარ შევჩივლე ჩემი გასაჭირი, მაგრამ დაობლებულ ბალთას თავმოუტრიალებლად მხოლოდ გულგრილ მზერას გამოუწვდენდნენ ხოლმე.

– ნწუ!.. ნწუ!.. ნწუ!..

მწარე საგონებელში გახლართული, დიდხანს ვიდექი ბოლო, წერეთლის N11-ში მდებარე მაღაზიის, „ოქროს კომპასის" წინ. გარეთ იმდენი და ისეთნაირი ზურგჩანთები გამოეფინათ, ფუჭი ოცნებისაგან ლამის ბავშვივით ავტირებულიყავი!

რაკი ამდენს მოვცდი, ბარემ აქაც მოვიკითხავ-მეთქი, ყასიდადღა გავიფიქრე და შევედი. ახალგაზრდა, თვალშეხედული ქალი ისეთი გულითადი ღიმილით წამოვიდა შემოსაგებებლად, უმალ მუხლები მომეკვეთა: ცხადია, მას ნამდვილი მუშტარი ვეგონე, ჯერ კი რა იცოდა, რაღაც სულელური ბალთის მძებნელი ღატაკი შერჩებოდა ხელში! მაგრამ რაღას ვიზამდი – ხმაწყვეტით იმასაც წავულუღლუღე ჩემი გასაჭირი!

ჩემდა გასაოცრად, ქალმა დაკვირვებით ჯერ მე შემავლო თვალი, მერე ჩემი სვეკრული ზურგჩანთის ბალთას დაუწყო სინჯვა. შევატყვე, მისმა გონებამ უცებ სადღაც გადაიელვ-გადმოიელვა!

– აქ მომიცადეთ!

ქალი გვერდითა ვიწრო დერეფანში ცოცხლად გაუჩინარდა. მე გულზე მომეფონა – ახლა კი ნაირ-ნაირი ბალთებით სავსე მუყაოს კოლოფს გამოიტანს-მეთქი! ოთხიოდე წუთის შემდეგ გამყიდელი ისევ გამოჩნდა, ოღონდ ხელში სავსე კოლოფი ან ბალთების გრძელი ჩხნდო კი არა, ვეებერთელა ქვიშისფერი უცხოური ზურგჩანთა „HP" ეჭირა! მან თავისი ზურგჩანთის ბალთა ჩემი ზურგჩანთის ბალთას შეუტოლა.

– აი, ესეც ზუსტად მაგ ზომისაა, მხოლოდ ფერშია სხვაობა!.. ჰოდა, ამას აარღვევთ და მანდ გადააკერებთ!

ვიგრძენ, მუხლები როგორ მეკვეთებოდა. გამშრალ ხახას ენა ძლივს ავაძრე.

– მე... ეეე... რა ეღირება... ეგ ბალთა?

– არაფერი!.. მთელ ჩანთას გჩუქნით!

– ქალბატონო!..

– ნუ გერიდებათ!.. აიღეთ, აიღეთ!.. ეს ცოტა ძველმოდურია და მაინცდამაინც აღარავინ ეტანება!.. გამომართვით, გამომართვით! – ქალმა მოკეთური ღიმილით დამატყვევა და ახალთახალი ზურგჩანთა შემომაჩეჩა.

მიკვირს, მოულოდნელი მადლით განაბრუებმა ეს მაინც რომ მოვახერხე.

– ქალბატონო, თქვენი გვარსახელი მაინც მითხარით!

– ანა მირცხულავა!

აქამდე დაბორკილმა ენამ ახლა კი თავისებურად შეინავარდა.

– ოოო!.. პოეტი ალიო მირცხულავა-მაშაშვილი!.. დირიჟორი დიდიმ მირცხულავა!.. ფიზიკოსი იონა მირცხულავა!.. ისტორიკოსი ილია...

ქალბატონო ანა, ტკბილად მაგონდება, გაკვირვებისაგან წარბები როგორ მიმოგიქანდათ, მანდ შემთხვევით შემოხეტებული ვიღაც ხნიერი უცნობი შეუყოყმანებლად რომ ასახელებდა და ასახელებდა თქვენი გვარის სახელოვან შვილებს! მაგრამ რას წარმოიდგენდით, თქვენ წინაშე თუ ერთი რიგითი ქართველი მწერალი იდგებოდა!




შინ რომ მივედი, ბურანმა თანდათან გამიარა და რაც მანდ გადამხდა, ყველაფერი ნათლად დამილაგდა. ზურგჩანთას რომ მჩუქნიდით, თვალებიდან ისეთი კამკამა სხივი ამოგიშუქდათ, თქვენ მიერ გამოჩენილ მადლზე მეტად მომხიბლა თვით მადლის ქმნის ხალისმა!!!

გაუსაძლისი ყოფნა-ცხოვრებისაგან დღეს ჩვენი ხალხი ისეა გატანჯულ-გაღიზიანებული და ხალისჩაკლული, რამენაირი მადლის გამოჩენა კიდეც რომ სწყუროდეთ, ველარ მოუხერხებიათ!

თქვენ კი... თქვენ ელვისებურად გამოამზეურეთ თქვენი კუთხის შვილებისთვის თვით ღვთისგან დანათლებული სხარტი აზროვნების უნარი და გაჭირვებული თანამოძმისადმი უშურველი დახმარების ხალისი!..

ამრიგად, თქვენი შეწევნით ამიერიდან ორი ზურგჩანთა მექნება: ის ძველი, მსუბუქ-საზაფხულო და თქვენეული – ტევადი, მკვიდრი, საშემოდგომო-საზამთრო!..

ქალბატონო ანა, რა ვქნა, ჩემს პაწაწკინტელა მწერლურ სამყაროში ისე ვარ გადავარდნილი, თქვენი ბუნების ფაქიზ თვისებებზე თანდათანღა მეხილება თვალი!

სწორედ თქვენი სათუთი გულისხმიერების დასტურია „რაღაც" ბალთის აჭრა-გადაკერების მოჩვენებითი რჩევა და ზურგჩანთის ვითომ ძველმოდურობის მოსაბაბება, მოულოდნელი ჩუქება უფრო მისაღებად რომ მომჩვენებოდა და ისედაც ხელმოკლე თანამოძმისთვის გული არ გეტკენინებინათ!!!

ქალბატონო ანა, მაღლა ღმერთს დავიფიცავ, ძირს – დედამიწას: ჩემს სიცოცხლეში ასეთი ზღაპრული საჩუქარი არ მღირსებია!.. მე და ჩემს მეუღლეს ისეთი ნათელი დღეები გვიდგა, თითქოს ჩვენს ღარიბულ სამყოფელში ღმერთს კეთილი თვალით შემოეხედოს!..

მამაშვილური სითბო-სიყვარულით –

**ჯემალ მეხრიშვილი**

10.10.2019

საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ
შპს „ელვა-ჯი"-ს მეშვეობით
+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის" სტამბაში.
აგლაძის 39. ტელ: 234-39-99
E-mail: asavaliprint@yahoo.com

ISSN 2233-3983
9 772233 398001